# საქართველოს რესპუბლიკა





დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 20 ოქტომბერი, 2006 წელი.

№ 206 (5547)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუპილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## შელახული ღირსება





4–5

## გაუცხოხილებული კალმახი და სამინისტროს უცნაური მოწადინება

7

## როცა ამომრჩევლის აზრი და არჩევანი ფეხებზე ჰკიდიათ!

3

## რუსეთის პოლიტიკას რუსეთული პრესაც დასცინის და ამათრახებს

4–5

## რატომ დააპატიმრეს გაგა სოფრომაძე და სხვები და როგორი იქნება სასჯელი?

6





## რატომ უნდა დაიცვას დასავლეთმა საქართველო

8

## აზერბაიჯანელი სამხედროები დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს ეპოტინებიან

2



## „პროტესტის ნიშნად ვაცხადებ... ჭამას!“

2

◎ არიქა!

# თუ „ხალხის მსახური“ გქვია,

## ანუ „პროტესტის ნიშნად ვაცხადებ... ჭამას“

**ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა პრესასა და ტელევიზიაში გახმაურებულმა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების განცხადებამ, 2007 წლის ბიუჯეტის განხილვის დროს რომ გააკეთეს – ხელფასად ორი ათასი ლარი არ გვყოფნის და კიდევ 500-500 ლარი დაგვიმატეთო.**

ამან ორი ძველი ამბავი გამახსენა: ჯერ ერთი, ის აჟიოტაჟი, რამდენიმე წლის წინათ თბილისის საკრებულოს წევრებმა სახელფასო დანამატის სახით თავიანთთვის 1200 ლარი რომ დაინიშნეს (და, არა დაუნიშნეს!). მაშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე შემრიგებლურად განაცხადა, რომ თანამდებობის პირთა ხელფასებთან დაკავშირებით სიტუაცია უნდა გაირკვეს და მათი ხელფასების ერთიანი სისტემა უნდა შემუშავდესო. თუმცა სულ მალე იგივე საკითხი – პარლამენტარების ხელფასის გაზრდა თვით ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოშიც დაისვა და სწრაფადაც გადაიჭრა მას შემდეგ, რაც დეპუტატებმა თითქმის ერთხმად უარყვეს პენსიების სტაჟითა თუ დამსახურების მიხედვით დანიშვნის საკითხი.

და მეორეც, ჩემს არქივში მოვიძიე ერთი ცნობა – ამ რამდენიმე წლის წინათ აშშ-ის კონგრესის ქვედა პალატა განიხილავდა 2000 წლის პირველი იანვრიდან კონგრესმენებისთვის ხელფასის 3,4 პროცენტით გაზრდას. ამ წინადადებას წინააღმდეგ ხმა მისცა 147-მა კონგრესმენმა. თუ არ ვცდები, ამჯერად ქართველ მაჟორიტართა უპრეცედენტო (დიახ, უპრეცედენტო, რადგან ისინი გალატაკებულ, ძალზე მცირე პენსიისა თუ ხელფასის მქონე ხალხის „რჩეულ ნაწილად“ მიიჩნევენ თავს) წინადადებას მხოლოდ ერთი დეპუტატი – კახა კუკავა შეეწინააღმდეგა.

დეპუტატობა ანუ პარლამენტარობა, თუ განმარტებით ლექსიკონებს მოვიშველიებთ, ნიშნავს რომელიმე კოლექტივის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ მინდობილი საქმის საწარმოებლად არჩეულ პირს. ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, პარლამენტარი არის ხალხის, საქართველოს მოქალაქეთა არჩეული ადამიანი, რომელსაც მინდობილი აქვს ამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქვეყნის მართვის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტა და ამით ხალხის, ანუ ამომრჩევლების სასიცოცხლო ინტერესების დაცვა.



ყველას თუ არა, ცოტა ხანდაზმულთ ალბათ მაინც ახსოვთ, რომ ვითომდა „იმ არსახსენებელ“ საბჭოთა კავშირში დეპუტატს ხალხის მსახურს ეძახოდნენ და სადაც უნდა ყოფილიყო ის წარგზავნილი, „დიდი სამშობლოს“ უმაღლეს საბჭოში, თავისი რესპუბლიკის, რაიონის, ქალაქისა თუ დაბა-სოფლის ანალოგიურ თავყრილობაზე, იმ, პარტიის მიერ წინასწარ შერჩეულ, მაგრამ მაინც ხალხის მიერ არჩეული, დეპუტატების მთავარი მოვალეობა თავისი ამომრჩევლების თუ მისი მხარის ინტერესების დაცვა იყო.

ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, შეგახსენებთ დაუვიწყარი 9 აპრილის შემდეგ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომებზე ქართველი დეპუტატების უკომპრომისო გამოსვლებს.

ხალხის, ამომრჩევლების ინტერესების დაცვის რა მოგახსენოთ, მაგრამ თუ შარშან თუ შარშანწინ, როდესაც პარლამენტში დაისვა პენსიების გაზრდის საკითხი, სწორედ ის „ხალხის რჩეულნი“ წავიდნენ კატეგორიულად წინააღმდეგნი, სად გვაქვს მაგდენი ფულიო, თუმცა რაღაც ორიოდე დღეში, საახალწლოდ, ერთობ უხმაუროდ (თითქმის საიდუმლოდ) მიიღეს თავიანთი ხელფასისა თუ პენსიების ორმაგად თუ სამმაგად გაზრდის გადაწყვეტილება (?!).

თუმცა ასეთი რამ იშვიათი როდია პარლამენტართა მოღვაწეობაში. იქნებ გახსოვთ, რა თავგამოდებით იცავდნენ იგივე „ხალხის მსახურები“ თავის დასაცავად იარაღის ტარების დაკანონებას? მაგრამ ვისგან ან რისგან უნდა დაეცვათ თავი?!

თუმცა შორეული ექსკურსები რა საჭიროა? ახლანდელი დეპუტატები, რა მნიშვნელობა აქვს „მაჟორიტარი“ იქნება ის, თუ რომელიმე პარტიის, „ერთი გუნდის“ წარმომადგენელი, პირველ რიგში უნდა ფიქრობდეს თავისი ამომრჩევლის კეთილდღეობაზე, თავპირი რომ გადააჭამა, ოღონდ ამირჩიე და მე ვიცი და ჩემმა კაცობამ, სულ ცოტა 115-ლარიანი პენსია თუ ხელფასი ჩემზეაო...

დღეს მაჟორიტარ დეპუტატს ხელფასად ორი ათასი ლარი ეცოტავება, 500 ლარი კიდევ მომიმატეთ, თორემ ამომრჩევლებს კარგად ვერ ვემსახურებიო, სინამდვილეში კი, მაპატიეთ და ფეხებზე ჰკიდია, თუ როგორ ცხოვრობს, ცხოვრობს კი არა, ცოცხლობს 38 ლარის იმედზე მყოფი მისი ამომრჩეველი, რომელსაც გამარჯვების შემთხვევაში სულ ცოტა 115 ლარს ჰპირდებოდნენ შევარდნაძის დამხობის შემდეგ, თუმცა ამ დაპირების ინიციატორის, ცხონებული ზურაბ ჟვანიას დასამარების შემდეგ თავად ეს „ხელგაშლილი“ დაპირებაც დასამარდა.

და ახლა, თურმე ნუ იტყვით, მაჟორიტარებს ის სამმაგად თუ ოთხმაგად გაზრდილი ხელფასი აღარ ჰყოფნით და ამბიციურად მინისტრთა მოადგილეების ხელფასთან გასატოლებლად კიდევ 500 ლარის მომატებას მოითხოვენ. რა „მოკრძალებული“ ხალხია, მინისტრებსაც რომ თვითონ „ნიშნავენ“ და იქნებ მათთან გათანაბრება მოეთხოვათ. თან უგულავას მიერ თბილისელებისთვის სამოწყალოდ გადაგდებული 2-10 ლარით ამაყობენ და ხმამაღლა აცხადებენ, მომავალში ხომ სხვებსაც მოუმატებენო.

ღმერთმა იმედი ნუ მოგვიშალოს, მაგრამ ჩვენმა დეპუტატებმა უმარტივესი არითმეტიკა მაინც თუ იციან, მაშინ დაიანგარიშონ, რამდენად დიდია მათი 2000 ან 2500 ლარი 38, თუნდაც 48 ლარზე, პენსია რომ ჰქვია. და იმასაც ნუ დაივიწყებენ, რომ მათი დაკმაყოფილება „დომინოს ეფექტს“ გამოიწვევს – დანარჩენმა დეპუტატებმა რაღა დააშავეს. იმას კი ნუ მოიმიზეზებენ, ეს ფული ისევ ჩვენი ამომრჩევლების საკეთილდღეოდ, უკეთესი სამსახურის გასაწევად (თუ მეტი საჭმლისთვის?) გვინდაო, თუმცა ზოგი მათგანი ერთხელაც არ დაგვინახავს პარლამენტის ტრიბუნასთან მისული და თავისი მხარის, ხალხის საჭირბოროტო პრობლემებისთვის მებრძოლი.

ამიტომ შემთხვევით როდი გამახსენა მაჟორიტართა ახალმა პრეტენზიამ ცხონებული „ლომი“ პოეტის ზაურ ბოლქვაძის ერთი „ფუნაგორია“

**„რადგან ხალხს უჭირს,**
**შიმშილობს თანაც,**
**პროტესტის ნიშნად**
**ვაცხადებ... ჭამას!“**

**ვალიკო სიმონიშვილი**

◎ ცხელი თემა

# ზვიად ძიძიგურის განგაში

## აზერბაიჯანელი სამხედროები დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს ეპოტინებიან



**კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა გააწბილა ფრაქცია „დემოკრატიულ ფრონტში“ შეკრებილი ჟურნალისტები, რომლებიც, ჩვეულებისამებრ, მისგან საგანგებო პოლიტიკურ განცხადებას ელოდნენ.**

ამჯერად, ოპოზიციონერმა პარლამენტარმა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსზე ილაპარაკა და თქვა, რომ ეს თემა მისთვის არსებითად მნიშვნელოვანია.

ზვიად ძიძიგურმა ჟურნალისტებს შეახსენა, რამდენიმე წლის წინათ როგორ ბომბავდნენ დავით გარეჯს რუსი სამხედროები. ოპოზიციის აქტიურობამ მაშინ პრობლემა მოაგვარა.

**„დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე ახლა უკვე აზერბაიჯანელი სამხედროები დგანან... თუ 1928 წელს სერგო ორჯონიკიძის მიერ საზღვრის თვითნებურმა გადმოწევამ ბერთუბანი და ჩაჩხატის კოშკი დაგვაკარგვინა, ამჯერად, აზერბაიჯანელები ძირითად კომპლექსს წაეპოტინნენ და მონასტრის გარშემო ტერიტორიას აკონტროლებენ, ასეთი რამ არასდროს მომხდარა საქართველოს ისტორიაში“.**

განგაშის ატეხვა გვმართებს.

ზვიად ძიძიგურის თქმით, აზერბაიჯანელმა სამხედროებმა ჩვენს ტერიტორიაზე გადმონაცვლების განკარგულება საკუთარი უმაღლესი ხელმძღვანელობისგან მიიღეს, ანუ **„ამ საქმეში მთლიანადაა ჩარეული აზერბაიჯანის პოლიტიკური ისტებლიშმენტი“.**

ოპოზიციონერმა დეპუტატმა საქართველოს ხელისუფლება ამ საკითხზე „გაურკვეველ და ბუნდოვან“ პასუხში დაადანაშაულა. მან მოუწოდა კულტურისა და საგარეო საქმეთა მინისტრებს, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარეებს, საქმის არსი გაარკვიონ და თავადაც ჩაერიონ პრობლემის მოგვარებაში.

**„საჭიროა საზოგადოებრიობის აქტიურობა, რის შედეგადაც მრავალი მსგავსი საკითხი დადებითად გადაწყვეტილა. ხელისუფლების უგულისყურო, აგდებული დამოკიდებულება ჩვენი სიწმინდეებისა და ძეგლების, მართლმადიდებლური რელიგიის მიმართ, ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლაა. ამიტომ აუცილებელია ადგილზე ჩავიდეთ, შევისწავლოთ ვითარება და შემდგომ ნაბიჯებზე ყველამ ერთხმად ვიფიქროთ“,** – თქვა ზვიად ძიძიგურმა.

დაბოლოს, დეპუტატმა საქართველოს პრეზიდენტს სთხოვა ამ საკითხში ჩარევა: **„ისე არ მოხდეს, რომ ქართული კულტურის ძეგლი, სადაც VIII საუკუნიდან სამონასტრო ცხოვრება დუღდა, ერთ მშვენიერ დღეს ალბანური კულტურის ნაწილად გამოაცხადონ... ჩვენ არავის მივცემთ უფლებას, ჩვენი სიწმინდეების, სარწმუნოების ეროვნული ღირსება აბუჩად აიგდოს“.** – დასძინა დეპუტატმა.

მართლაც, საგანგაშო ვითარებაა შექმნილი და საზოგადოებიობამ აუცილებლად უნდა ამოიღოს ხმა!

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ინფორმაცია

### ტალინელები მხარს გვიჭერენ

**ქართულ-ესტონური მეგობრობის საზოგადოებამ „მამული“ და კავკასიელ ესოტნელთა საზოგადოებამ, ესტონეთის პარლამენტის, სომხური, აზერბაიჯანული და უკრაინული სათვისტომოების მხარდაჭერით, გუშინწინ საღამოს ტალინში, რატუშის მოედანზე მიტინგი გამართეს.**

**აქციის მონაწილეთა მიზანი რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ამოქმედებული სანქციების გაპროტესტება და საქართველოსთვის მხარდაჭერის გამოცხადება იყო.**

**როგორც სააგენტო „რეგნუმს“ „მამულის“ ხელმძღვანელმა იაშა ყურშუბაძემ განუცხადა, ღონისძიებაში მონაწილეობა 150-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო.**

**აქციის მონაწილეების მთავარი ლოზუნგები იყო - „გაუმარჯოს თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოს!“, „საქართველოვ, ესტონეთი შენთანაა!“, „ევროპავ, გაახილე თვალები!“.**

### კაკაბაძე ბრალს სდებს

**„თანასწორობის ინსტიტუტი“ პარლამენტარებს გიგა ბოკერიას, ნიკა რურუასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს ეკა ტყეშელაშვილს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს.**

**როგორც გუშინწინ გამართულ პრესკონფერენციაზე „თანასწორობის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელმა ირაკლი კაკაბაძემ განაცხადა, უზენაესი სასამართლოს გრიფით საერთაშორისო ორგანიზაციებში გაიგზავნა წერილი, რომელშიც „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები ბოროტ ხულიგნებად არიან მოხსენიებულნი.**



**მისივე თქმით, წერილში თავისებურად არის ასახული „თანასწორობის ინსტიტუტის“ 29 ივნისის აქცია, რომელიც ტელეკომპანია „202“-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის შალვა რამიშვილის სასამართლო პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა.**

**წერილში, რომელიც 26 სექტემბრით არის დათარიღებული, აღნიშნულია, რომ „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები სასამართლოზე ზემოქმედებას ახდენდნენ და ხელს უშლიდნენ მოსამართლეებს.**

**კაკაბაძის თქმით, უზენაესი სასამართლოს სახელით გაგზავნილ წერილს ხელს აწერენ გიგა ბოკერია, ნიკა რურუა და ეკა ტყეშელაშვილი. კაკაბაძემ თავი შეიკავა, დაესახელებინა, თუ რომელი საერთაშორისო ორგანიზაციისგან მიიღეს წერილის შესახებ ინფორმაცია.**

### გაფიცვა თბილისში

**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომლებმა გუშინ დილიდან მუშაობა შეწყვიტეს.**

**უწყების თანამშრომლეთა გაფიცვის მიზეზად საკადრო ცვლილებები და ახალი ხელმძღვანელობის მხრიდან შეურაცმყოფელი ქმედებები სახელდება.**

**გაფიცვის გამო დროებით მუშაობა შეწყდა რეესტრის ყველა განყოფილებაში.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ განაწყენებული პოლიტიკოსი

# გუნცაძე ახალ საზოგადოებრივ მოძრაობას ქმნის

*უკვე ცნობილია, რომ ფრაქცია „მემარჯვენეები“ პარლამენტარმა კოკა გუნცაძემ დატოვა. თუმცა, იურიდიულად ჯერ ისევ მათ რიგებში ირიცხება. ორკვირიან ვადაში ახლებმა პარლამენტიდან ერთი კაცის გადაბირება უნდა შეძლონ, თუ არა და, ფრაქცია შეიძლება დაიშალოს. დღეს ოპოზიცია რომ ვერ ოპოზიციონერობს, აშკარაა. ბოლო ხანს პარტიებს ბევრჯერ ჰქონდათ გაერთიანების შანსი, შეეძლოთ ერთ ძლიერ ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბებულიყვნენ, მაგრამ, ალბათ, პირადი ამბიციების გამო, საერთო ენა ვერ გამონახეს. ცალ-ცალკე კი რასაც მიაღწიეს, არჩევნებმა ცხადყო. ახლებმა კი საკუთარი შესაძლებლობები საარჩევნო რინგზე ვერ მოსინჯეს – მათ გუნდში ფალავანი ვერ მოიძებნა. არჩევნებიდან თავის დაძვრენა ბოიკოტით შეძლეს, სამაგიეროდ კი ამომრჩეველი გაანაწყენეს. ნაწყენი დარჩა მათი თანაპარტიელი კონსტანტინე გუნცაძეც.*

**– ბატონო კოკა, რატომ დატოვეთ ფრაქცია „მემარჯვენეები“, რა გახდა ამის ძირითადი მიზეზი?**

– არჩევნების წინ საზოგადოებრიობას ოპოზიციის გაერთიანება სურდა. ვფიქრობ, სწორედ ამით უნდა დაწყებულიყო ახალი, მძლავრი ოპოზიციური ძალის შექმნა. სამწუხაროდ, გაერთიანება არ შედგა. ამაზე პასუხისმგებლობა უნდა გადაინაწილოს სხვადასხვა ოპოზიციურმა პარტიამ, მათ შორის, „მემარჯვენეებმაც“. სერიოზული შეცდომა იყო ისიც, რომ ადგილობრივ არჩევნებზე ჩვენ პარტიას კანდიდატი არ ჰყავდა. ასეთ შემთხვევაში სხვა პოლიტიკურ პარტიასთან ინტეგრაციაზე უნდა ეფიქრათ და სხვა ოპოზიციური კანდიდატებისთვის დაგვეჭირა მხარი. ხალხს ინტეგრაცია სჭირდება და არა იზოლაცია. „მემარჯვენეებმა“ კი განდგომა არჩიეს. ბოიკოტი ჩემთვის მიუღებელია. დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ ამომრჩევლის წინაშე და სწორედ ამ მიზეზთა გამო დავტოვე პარტია. დღეს ოპოზიცია ძალიან სუსტია, გაერთიანების შანსი არ გამოიყენა, მძლავრი ოპოზიციის გარეშე კი შეუძლებელია ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები წარვმართოთ.



**– რას აპირებთ ახლა, რომელი პარტიის რიგებში გიხილავთ, რაიმე ახალი ფრაქციის შექმნას ხომ არ ფიქრობთ?**

– ფრაქციის რესურსი პარლამენტში არ არის. შესაძლოა, შევქმნათ ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა პარლამენტს გარეთ. გამორიცხული არც ის არის, რომ არსებული ბაზისის ირგვლივ აშენდეს ძლიერი ოპოზიციური გაერთიანება, გააჩნია როგორ წარიმართება კონსულტაციები. საზოგადოებრიობას ხელისუფლების ალტერნატიული ძალა სჭირდება და ეს მოთხოვნა, დროთა განმავლობაში, კიდევ უფრო გაიზრდება. თანამოაზრეებთან კონსულტაციები უკვე მიმდინარეობს.

**– ვინ არიან ეს ადამიანები? ისიც ითქვა, თითქოს ახალ გაერთიანებას თქვენ და ზვიად ძიძიგური ქმნით?**

– ჯერჯერობით ვერ დავკონკრეტდები. ცოტა ნაადრევია ლაპარაკი.

**– ეგებ, უმრავლესობის წევრებიც გადაიბიროთ?**

– ვერ გეტყვით. არა მგონია, ამ ეტაპზე ვინმე აპირებდეს უმრავლესობის დატოვებას. ეს საზოგადოებრივი მოძრაობა უნდა იყოს, სადაც მოსახლეობის სხვადასხვა ფენა ჩაერთვება.

**– პარლამენტს გარეთ ოპოზიციური ძალების გააქტიურებაზე რატომ ფიქრობთ, მანდატის დატოვებასაც ხომ არ აპირებთ?**

– არა.

ესაუბრა
**ლელა ხვადაგიანი**

◎ ენერგეტიკა და მომხმარებელი

# „ვნახოთ, რას მოგვიტანს დარჩენილი დრო“

**– ელექტროენერგიისა და გაზის სამომხმარებლო ტარიფები ახლო მომავალში არ გაიზრდება, – ესაა ის მთავარი სათქმელი, რაც თითოეულ ჩვენგანს, ალბათ, ბევრ სხვა საფიქრალზე მეტად გვადარდებს.**



**– ენერგომატარებლებზე ტარიფების ზრდა ამჟამად განხილვის საგანი არ არის, – განაცხადა გუშინ გამართულ სემეკის სხდომაზე სემეკის თავმჯდომარემ გიორგი თავაძემ. მისი განცხადებით, გაზზე ტარიფის ზრდა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება პროგნოზირებად მომავალში რუსეთის ფედერაციიდან მიღებული გაზის ფასი.**

19 ოქტომბერს გამართულ სემეკის სხდომის დღის წესრიგის სია ერთობ შთამბეჭდავი გახლდათ, თუმცა, ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეულ საკითხებზე ერთად შეიძლება ვილაპარაკოთ. საქმე ის გახლავთ, რომ ამჟამად საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე იწყება რეფორმის მეორე ეტაპი, რომელსაც, არსობრივად, მისი „ლიბერალიზაცია“ შეიძლება ვუწოდოთ. ელექტროგენერაციის გარკვეული ნაწილი მთლიანად გათავისუფლდა რეგულირებისგან – კერძოდ, ამ სფეროში მომუშავე კომპანიები იმუშავებენ ლიცენზირების გარეშე და მათ ექნებათ დადგენილი ტარიფი. ეს, კონკრეტულად, იმას ნიშნავს, რომ ლიბერალიზაცია, უშუალოდ, ეხება ენერგობაზარს, ვინაიდან გაუქმდა მისი საბითუმო ფორმა და შეიქმნა ახალი სუბიექტი, როგორიცაა კომერციული ოპერატორი. მას კი მომხმარებელთან პირდაპირი კომერციული კავშირის დამყარების უფლება აქვს, ხოლო ენერგოსისტემა ვალდებულია ელექტროენერგია თავის ხაზებში დაუბრკოლებლად გაატაროს. ფაქტობრივად, საქმე ისაა, რომ მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის პირდაპირი, უშუალო კონტაქტი მყარდება, რაც, ფაქტობრივად, სემეკთან მხოლოდ ფორმალურად თანხმდება.

როგორც სემეკში აცხადებენ, ადრე არსებული შიდა სხვადასხვა სახეობის ტარიფების შეცვლა იმითაა განპირობებული, რომ სადისტრიბუციო კომპანიასა და ენერგოსისტემას შორის აქტივების გადანაწილება მოხდა. უმთავრესი მომენტი ის გახლავთ, რომ თუკი გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიას არ ჰქონდა გარკვეული ოდენობა ელექტროენერგიაზე მეტის გატარების საშუალება, სადღეისოდ მას ეს შესაძლებლობა გააჩნია, ვინაიდან მაღალი ძაბვის ხაზები მისი კუთვნილებაა. ამდენად ის უკვე თავადაა დაინტერესებული ელექტროენერგიის ტრანსპორტირებაში.

მთავარი, ჩემი აზრით, მაინც ის გახლავთ, რომ როგორც თავშივე აღვნიშნე, სამომხმარებლო ტარიფზე ყოველივე ეს ახლო მომავალში არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს.

**თუმცა, აღსანიშნავია ისიც, როგორც სემეკში განაცხადეს, გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ თითქოსდა „ენერგეტიკა და პოლიტიკა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად თანაარსებობენ“, ძირშივე მცდარია. ამდენად, ვნახოთ, რას მოგვიტანს ჩვენი ხელისუფლების მცდელობა თავიდან ავიცილოთ ენერგეტიკის დარგში მოვლენათა არასასურველი სცენარით განვითარება და, ცნობილი ტელეკომენტატორის სიკეთისა არ იყოს, „ვნახოთ, რას მოგვიტანს დარჩენილი დრო“.**

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ რეპლიკა

*5 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებში თბილისის ხუთივე რაიონში მაჟორიტარობა ნაციონალებმა ტყუპ-ტყუპად მოიგეს. კერძოდ, საბურთალოში ხალხის რჩეულები გახდნენ დავით იოსელიანი და გიორგი ქველაძე; გლდანში – ზაზა ბეგაშვილი და ბერდია გველებიანი; ჩუღურეთში – კობა სუბელიანი და ანდრო ალავიძე; ისანში – გიორგი ძორძაშვილი და გეგა ქალდანი; კრწანისში – დავით მესხიშვილი და სოფო გიორგაძე...*

# პეტრეს მივეცით ხმა თუ პავლეს?

დიახ, ესენი იქცნენ ქალაქის საკრებულოს დეპუტატებად, ხალხის მიერ არჩეულ კანონმდებლებად სწორედ საკრებულოში და არა სადმე სხვაგან. სინამდვილეში რა მოხდა? ზოგიერთ მათგანს საერთოდ ფეხიც არ შეადგმევინეს იმ საკრებულოში. უფრო კონკრეტულად კი, დავით მესხიშვილი ჯანდაცვის მინისტრის მოადგილედ გაამწესეს, დავით იოსელიანი – ვაკე-საბურთალოს გამგებლად, გიორგი ძორძაშვილი – ისანი-სამგორის გამგებლად, კობა სუბელიანი – მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსად, ახლა ზაზა ბეგაშვილს ექაჩებიან კახეთის გუბერნატორად...

თბილისის საკრებულოში, ცხადია, ამათ სკამებს არ დააცარიელებენ, მათ ადგილას სხვებს დასვამენ, მაგრამ რა გამოდის? ამომრჩევლებმა ხმა მისცეს უშუალოდ ამათ და არა სხვებს. ესე იგი, ელექტორატი „გადავარდა“, გაბითურდა, მისი ხმა სხვას წაადგა. მაშ, მეტი რა უნდა დაერქვას ასეთ წამიერ გადახტომა-გადმოხტომას? სად მიაკითხონ ამიერიდან ამომრჩევლებმა დავით მესხიშვილს, – საკრებულოში თუ ჯანდაცვის სამინისტროში? თუმცა ეს რა არის, შეიძლება ზაზა ბეგაშვილის სანახავად თბილისელები კახეთის ხშირი სტუმრებიც გახდნენ.



არავინ არაფერს იტყოდა, თუ ესენი საკრებულოში გავიდოდნენ პარტიული სიით. შეიძლება პარტიამ ერთი ჩაანაცვლოს მეორეთი. მაგრამ როდესაც ეს ხდება მაჟორიტარული წესით – კონკრეტული გვარისა და სახელის მითითებით, მაშინ პატივი უნდა ვცეთ ამომრჩევლის არჩევანს და საკრებულოში ცოტა ხანს მაინც უნდა დავსვათ უთუოდ ის, ვისაც მან ხმა მისცა, ვისაც ნდობა გამოუცხადა. მართალია ბიულეტენში ისინი პარტიულ ნომერზე ისხდნენ, მაგრამ მაინც...

ისე, ნეტავ, თავს რად ვიმტვრევთ, 37-კაციან საკრებულოში 34 ნაციონალია და მხოლოდ 3 ოპოზიციონერი. ამ სამს 34 ყოველთვის მოერევა, გინდ იქ კოკა მასხარაშვილი დასვა და გინდ კოლა სიკინჭილაშვილი. ჩვენ რა, – ერთი გუნდი არა ვართ?

**ბონდო გულიაშვილი**

◎ ინფორმაცია



## გამსახურდია ირანის პრეზიდენტის ვიზიტს ეწინააღმდეგება

**ამერიკის შეერთებულ შტატებში ნეგატიურად აფასებენ საქართველოში ირანის პრეზიდენტის მომავალ ვიზიტს. ამის შესახებ პარტია „თავისუფლების“ ლიდერმა კონსტანტინე გამსახურდიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**გამსახურდია შეერთებულ შტატებში ათი დღის განმავლობაში, ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიწვევით იმყოფებოდა. მან შეხვედრები გამართა შტატების სახელისუფლებო წრეებთან, ასევე ინტელექტუალურ და ანალიტიკურ ცენტრებთან. „თავისუფლების“ ლიდერის განცხადებით, რელიგიური ექსტრემიზმით ცნობილი ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ ახმადინეჯადის საქართველოში ჩამოსვლა დაუშვებელია.**

**მისივე თქმით, რუსეთის ენერგობაზრიდან საქართველოს წამოსვლა არ ნიშნავს, რომ ის ირანის ენერგეტიკულ ორბიტაზე უნდა გადავიდეს.**

**კონსტანტინე გამსახურდიამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებაც ისაუბრა. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება ვერ იცავს წონასწორობას ურთიერთობაში და წინ უსწრებს მოვლენებს, „რაც შესაძლოა, საქართველოს ტერიტორიების დაკარგვად შემოუბრუნდეს“.**

**„რუსეთის მხრიდან ხორციელდება ამაზრზენი პოლიტიკა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ეს უნდა გახდეს საქართველოს ხელისუფლების ვერშემდგარი პოლიტიკის ერთადერთი გამამართლებელი საფუძველი“, – განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ.**

**ინტერპრესნიუსი**

## ისევ შვიდი რაიონი დარჩება

**თბილისის ვიცე-მერმა მამუკა ახვლედიანმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იგეგმება სამი გამგეობის (მარჯვენა, მარცხენა და „ძველი თბილისის“) შექმნა. როგორც მან საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ განუცხადა, დედაქალაქის მერიის დაქვემდებარებაში შვიდი გამგეობა (ვაკე-საბურთალოს, დიდუბე-ჩუღურეთის, გლდანი-ნაძალადევის, მთაწმინდა-კრწანისის, ისანი-სამგორის, „ძველი თბილისისა“ და წყნეთის) იქნება.**

**მისივე თქმით, ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, ვინ დაიკავებს დავით მესხიშვილის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილედ გადასვლის შემდეგ მთაწმინდა-კრწანისის გამგებლის პოსტს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**



◉ ინფორმაცია

## ჩეჩნები კვლავ ჩვენს წინააღმდეგ

**აფხაზ ხალხს საკუთარი ნების გაცხადების უფლება აქვს", — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ალუ ალხანოვმა.**

**მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთზე" თავდასხმას განახორციელებს, ჩეჩნები მათ აუცილებლად დაეხმარებიან.**

**ალხანოვი იმედს გამოთქვამს, რომ „საქართველოს ხელისუფლებას ეყოფა სიბრძნე, არ გაამწვავოს კონფლიქტები".**

**ინტერპრესნიუსი**

## „ზანალსაც" „ბორჯომის" ბედი ეწია

**რუსეთის დედაქალაქში სავაჭრო ქსელიდან ქართული მინერალური წყლის „ზანალის" კიდევ ერთი პარტია ამოიღეს. ამის შესახებ ინფორმაცია რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშენკომ გაავრცელა.**

**„რუსეთის ფედერაციის სავაჭრო ბაზარზე საკონტროლო-ზედამხედველობითი სამუშაოების ჩატარების დროს, რომლებმაც ბაზარზე უხარისხო და მომხმარებელთა უსაფრთხოებისთვის საშიში პროდუქცია უნდა გამოავლინოს, მოსკოვში აღმოჩენილია ქართული მინერალური წყლის კიდევ ერთი პარტია და ამოღებულია 115 ათასი ბოთლი", — განაცხადა ონიშენკომ.**

**მისივე თქმით, ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ აღნიშნული ქართული მინერალური წყლის ფერი, არომატი, გემო და შემადგენლობა ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს.**

**გენადი ონიშენკოს არც იმის თქმა დავიწყებია, რომ რუსეთის შესაბამისი სამსახურები აგრძელებენ მუშაობას რუსეთის ბაზარზე არსებული ე.წ. მინერალური წყლების გამოსავლენად.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ თვალსაზრისი

# შელახული

## ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება: წარსული და თანამედროვეობა



ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება რთული და ხანგრძლივი პროცესია. ამ პროცესზე ბევრი რამ ახდენს გავლენას. ჩვეულებრივ ეროვნული ცნობიერების გაჩენა წინ უსწრებს სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას. სახელმწიფოს წარმოშობა თავისთავად ხელს უწყობს ეროვნული ცნობიერების გაძლიერებას, რადგან სახელმწიფოებრივი ცნობიერება სწორედ ეროვნულ ცნობიერებას ემყარება. ეს ორი ფენომენი ქმნის სახელმწიფოს ძლიერების საფუძველს — **ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას.**

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, მის შესუსტებასა თუ გაძლიერებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს **ქონების გადანაწილება** და მისი თანამდევი პროცესები ერსა და სახელმწიფოში.

დღევანდელი ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება სულ მცირე ოცდაათსაუკუნოვანი განვითარების შედეგია. XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობამ ძლიერი დარტყმა მიაყენა ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობის შემდეგ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ (1811 წელს გაუქმდა მცხეთის საკათალიკოსო ტახტი, ხოლო 1814 წელს — აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტი). ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის უფლებების ფეხქვეშ გათელვამ და სამეფო სახლის წევრების რუსეთში გადასახლებამ, ისევე როგორც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ და უძველესი ეკლესიის რუსი ეგზარქოსისათვის დაქვემდებარებამ, ცხადია, დიდი ზიანი მიაყენა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას.

ქართველი ერის მომავალი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ დროის რა მონაკვეთში გამოცოცხლდებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი



ცნობიერება, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ბრძოლის დაწყება **შელახული ეროვნული ღირსების** აღდგენისათვის.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი განსაკუთრებული მოვლენის შესახებ. ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება რომ დიდ სირთულეს შეუქმნიდა რუსეთის იმპერიის პოლიტიკას დაპყრობილ საქართველოში, ეს იმთავითვე გახდა ცნობილი. 1802 წლის აპრილში, თბილისში სიონის ტაძარში, წაიკითხეს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ 1801 წლის 12 სექტემბერს ხელმოწერილი მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ. მანიფესტის წაკითხვის შემდეგ სიონის ტაძარში შეკრებილ ქართველობას რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე უნდა დაეფიცა. კახეთის თავადებისა და აზნაურების ნაწილმა არ დაიფიცა, რუსის ჯარის ალყა გაარღვია და თბილისი დატოვა. ამას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების თვალსაზრისით, მეტად საინტერესო მოვლენები მოჰყვა: 1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა კახეთში, 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში, 1812 წლის აჯანყება კახეთში, 1819-1820 წლების აჯანყება იმერეთში. 1832 წლის შეთქმულებამ კი აშკარად დაადასტურა, რომ ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენა-გაძლიერება უკვე შეუქცევადი პროცესი იყო, თუმცა ყოველივე ეს ეხებოდა ქართულ არისტოკრატიას და არა მთელ ქართველ ერს.

XIX-XX საუკუნეებში (1801-1917 წწ.) ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენა-გაძლიერების პროცესი ზოგადად კარგად არის ცნობილი. დღეს მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე — **ქონების გადანაწილების პროცესი საქართველოში და მისი გავლენა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე (XIX-XXI სს.).**

* * *

რევოლუციის გამარჯვებად ტრადიციულად პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა აღიქმება. სინამდვილეში კი რევოლუციის საბოლოო გამარჯვება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება ქონების გადანაწილების პროცესი სახელმწიფოში, ანუ დათმობენ თუ არა ქონებას (ან მის უდიდეს ნაწილს მაინც) ის კლასები, რომლებიც რევოლუციის მიერ დამხობილი ხელისუფლების სოციალურ და ეკონომიკურ საყრდენს წარმოადგენდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუცია მიზანს ვერ მიაღწევს და მას მალე შეიძლება მოჰყვეს სრულიად ლოგიკური მოვლენა — კონტრრევოლუცია. სწორედ ამიტომ **პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა მიზანი კი არაა, არამედ საშუალებაა მიზნის მისაღწევად — ქონების გადანაწილების განსახორციელებლად.**

რევოლუციის გზით პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ ქონების გადანაწილების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ინგლისი და საფრანგეთი. ინგლისის რევოლუციამ (XVII საუკუნის შუახანები), ისევე როგორც საფრანგეთის რევოლუციამ (XVIII საუკუნის დასასრული), ქონების გადანაწილების ისეთი პრინციპები წამოაყენა და გაატარა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ სახელმწიფოებრიობას — **ბურჟუაზიულ სახელმწიფოს.** ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, ცხადია, ქონების თანასწორად გადანაწილება უტოპია იყო. სამაგიეროდ ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ როგორც დიდი, ისე საშუალო და მცირე ეკონომიკური შეძლების მოქალაქეებს მისცა **პოლიტიკური თანასწორობა** (საარჩევნო და სხვა უფლებანი), **ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტია** (პიროვნების ხელშეუხებლობა, კანონის წინაშე თანასწორობა და სხვ.), **საბაზრო ეკონომიკა** (თავისუფალი კონკურენციის პირობებში ქონების დაგროვების უფლება და სხვ.). ყოველივე ეს ადამიანისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ გამოირიცხა

◉ ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...

# ეთნიკურად უცხო ობიექტი —

## რუსეთის პოლიტიკას რუსეთული პრესაც დასცინის და ამათრახებს

სპეცოპერაცია „ქართველში" მონაწილე ყველა მოხელესა და ძალოვანს ვთავაზობთ, განსაკუთრებულად ფიცხლად შეუდგნენ უცხოტომელთა არტეფაქტებისგან შემდეგი ადგილების გაწმენდის გეგმის განხორციელებას:

1. მოსკოვის კრემლის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის საკურთხეველი. ეთნიკურად უცხო ობიექტი — მაცხოვრის ჯვრის სამსჭვალი (ინახება ოქროს სანაწილეში). რუსეთში 1686 წელს საქართველოდან ჩამოაბრძანა მეფე არჩილ ვახტანგის ძემ.

2. მოსკოვი, წითელი მოედანი. აღდგომის კარიბჭესთან ალმართული ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სამლოცველო. სამართალდამცავმა ორგანოებმა გაჭირვებით, მაგრამ მაინც დაადგინეს — ივერია საქართველოა. ხატის მოსკოვური ასლი XVII საუკუნეში ათონიდანაა ჩამობრძანებული, მაგრამ — ივერთა (ანუ ქართველთა) მონასტრიდან. რუსეთის პატრიარქ ნიკონის ამ კოსმოპოლიტიკური დივერსიის შემდეგ, ეთნიკურად საეჭვო სასწაულმოქმედ ხატს აგერ უკვე სამასი წელია ეთაყვანება სლავი მოსახლეობა პეტრე ალექსის ძე რომანოვიდან (მხილებულია ჩრდილოეთის ომში გამარჯვების აღსანიშნავი სამადლობელი პარაკლისის გადახდაში) ემელიანე ივანეს ძე პუგაჩოვამდე (სიკვდილით დასჯის ადგილისკენ მიმავალი მხილებულია ივერიის ყოვლადწმიდა ხატის წინ ცოდვათა მონანიების მცდელობაში).

**მკაცრად მიეთითოს** ივანე ალექსის ძე ბუნინს: მოთხრობაში „სუფთა ორშაბათი" VIP-პერსონებისა და პროლეტარიატის ულარიბესი ფენის ერთობლივი ლოცვა აღწერა ივერიის ხატის წინ. ამ მოთხრობას თავის საუკეთესო თხზულებად მიიჩნევდა.

**3.** ლ.ნ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა". მე-2ტ., I ნაწ., II-III თ. აღწერილია ინგლისის კლუბის მიერ პ.ი. ბაგრატიონის პატივსაცემად 1806 წელს გამართული სადილი, თუმცა ეს ადგილგადანაცვლებული პირი 40 წელიც კი არ გახლდათ რუსეთის ქვეშევრდომი!

**მკაცრად მიეთითოთ:** პეტრე კირილეს ძე ბეზუხოვს — ზემოხსენებულ ადგილგადანაცვლებულ პირს საყვარელ მოწაფეს უწოდებდა. სამხედრო საიდუმლოებებს ანდობდა; პეტრე კირილეს ძე ბეზუხოვს — უანგაროდ გაგზავნა ზემოაღნიშნულ სადილზე ანანასები; ალექსანდრე პავლეს ძე რომანოვსა და ნიკოლოზ პავლეს ძე რომანოვს — მათთვის დროებით მფლობელობაში გადაცემულ ზამთრის სასახლეში „1812 წლის გალერეის" მოწყობის მიმართ ეთნიკურად უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო.

ვინაიდან შეუძლებელია ლ. ნ. ტოლსტოის საგადასახადო დეკლარაციების შემოწმება, სასკოლო პროგრამებიდან ამოიღონ რომან „ომი და მშვიდობის" მოხსენიებული თავები. დანარჩენი ტექსტი დარჩეს მოსახლეობას ომის წლებში სასარგებლო საკითხავად.

**4.** მოსკოვი, ტრეტიაკოვის გალერეა. მ.ვ. ნესტეროვის ფერწერული ტილო „ფილოსოფოსები". ს.ნ. ბულგაკოვთან ერთად, ვის წინააღმდეგაც სამართალდამცავ ორგანოებს ჯერჯერობით სამხილები ვერ აღმოუჩენიათ, გამოსახულია პავლე ფლორენციელი. იგი, დედის მხრივ, ქართველ-სომეხია: გიმნაზია თბილისში გაასრულა. მისი შრომები („ბურჯი და ჭეშმარიტების დამტკიცება", „კანკელი", „ხომიაკოვის ახლოს" და მრავალი სხვა) ექსპერტებმა მათი დაწერის უფლებამოსილების თვალსაზრისით უნდა შეისწავლონ.

განსაკუთრებული რეკომენდაციები: შეისწავლონ ნიადაგმცოდნისა-ფარსამოფარებული მიხეილ ვასილის ძე ნესტეროვის ჭეშმარიტი რაობა.



თვალსაზრისი

# ღირსება



სერიოზული კონტრრევოლუცია, ან საერთო-ეროვნული სოციალური ამბოხის შესაძლებლობა. ეს კი სტაბილური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების გარანტიას იძლეოდა. ყოველივე ამან განსაზღვრა ინგლისელისა და ფრანგის ძლიერი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება, პატრიოტიზმისა და მოქალაქეობრიობის მძაფრი შეგრძნება.

პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ ქონების გადანაწილება ვერ შეძლო რუსეთის იმ პოლიტიკურმა ელიტამ, რომელიც სახელმწიფო ძალაუფლებას 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ დაეუფლა. ამის უშუალო შედეგი იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისი, რაც 1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკების მიერ განხორციელებული კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალებითა და დიქტატორული რეჟიმის ჩამოყალიბებით დასრულდა. შედეგი მე-



ტად სავალალო იყო. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ნაცვლად რუსეთში ჩამოყალიბდა სოციალური ჯგუფებისა და კლასების (პარტიულ-კლანურიძ ცნობიერება. საბჭოთა (ბოლშევიკურმაძ იდეოლოგიამ ეს პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა, რადგან სოციალური ჯგუფებისა და კლასების ცნობიერების გაძლიერება დიქტატორული რეჟიმის სიმტკიცის აუცილებელი პირობა იყო. ბოლშევიკებმა რეალურად არ დაუშვეს არაფერი, რაც ხელს უწყობდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას (პოლიტიკური თანასწორობა, ადამიანის უფლებათა დაცვა, საბაზრო ეკონომიკაძ.

ქონების გადანაწილება და მის შესაბამისად ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის ჩამოყალიბება რევოლუციის გარეშეც შეიძლება. ამის მცდელობის მაგალითი მოგვცეს რუსეთმა და პრუსიამ. ბატონყმობის გაუქმება (მემამულეთა მიწის ნაწილის გლეხთა ხელში გადასვლაძ, სასამართლო რეფორმა (წოდებრივი სასამართლოს გაუქმება და ყველა მოქალაქისათვის ერთიანი სასამართლოს დაწესებაძ, სასოფლო მმართველობის რეფორმა (გლეხობის მონაწილეობა სოფლის მმართველობაშიძ, საქალაქო მმართველობის რეფორმა (მოსახლეობის მონაწილეობა ქალაქის მმართველობაშიძ იმის მომასწავებელი იყო, რომ რუსეთში ძველი ეკონომიკური და სოციალური სისტემა ნგრევას იწყებდა. ქონების გადანაწილებას აუცილებლად მოჰყვებოდა პოლიტიკური სისტემის შეცვლა. წარმატებით დაწყებული პროცესი, გარკვეული მიზეზების გამო, შეფერხდა, რამაც საბოლოოდ 1905-1907 წლების რევოლუცია გამოიწვია. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ქონების გადანაწილების პროცესი ცალმხრივად (მხოლოდ სოფლადძ განვითარდა, საყოველთაოდ ვერ იქცა, ვერ ჩამოყალიბდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება. ამან კი რუსეთი მეორე რევოლუციის აუცილებლობის წინაშე დააყენა.

რევოლუციის გარეშე ქონების გადანაწილების პროცესი წარმატებით განვითარდა პრუსიაში, რამაც, სხვა შედეგებთან ერთად, ძლიერი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების გაჩენაც გამოიწვია.

* * *

ქონების გადანაწილების პროცესი თავისებურად მიმდინარეობდა საქართველოში, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქართველის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერება.

XIX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში არსებულ სოციალურ ფენებსა და კლასებს შორის ქონების გადანაწილება ასეთ სურათს იძლეოდა. მრეწველობის არარსებობისა და ძალზე სუსტად განვითარებული ხელოსნობისა და ვაჭრობის პირობებში იმ პერიოდისათვის საქართველოში წარმოების მთავარ საშუალებას მიწა წარმოადგენდა. მიწის მთელი ფონდი გადანაწილებული იყო **სამეფო ოჯახს, არისტოკრატიას (თავადებს, აზნაურებსძ** და **ეკლესიას** შორის. წარმოების საშუალების გარეშე (მიწის საკუთრებაში ფლობის გარეშეძ იყო დარჩენილი ერის უდიდესი ნაწილი – **გლეხობა**. გლეხობაში, ანუ ერის აბსოლუტურ უმრავლესობაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღორძინება-გაძლიერების აუცილებელ პირობას გლეხის მიწის მესაკუთრედ ქცევა წარმოადგენდა. მოვლენები კი სულ სხვაგვარად განვითარდა. სამეფო ოჯახის წევრთა მიწები რუსეთის სახელმწიფო უწყების განკარგულებაში გადავიდა, ხოლო საქართველოს ეკლესიისა – რუსეთის ეკლესიის მფლობელობაში. არისტოკრატიამ (თავადებმა, აზნაურებმაძ მიწა შეინარჩუნა. რუსეთის გლეხობის მსგავსად ქართველი გლეხობა მიწის მესაკუთრედ ვერ იქცა. ბატონყმობა ჯერჯერობით ძალაში რჩებოდა.

ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას, კაპიტალის დაგროვების პროცესის დაწყებას და **ქართული ეროვნული ბურჟუაზიის** ჩამოყალიბებას. ბურჟუაზიას თავიდანვე უყალიბდება ეროვნული ცნობიერება, რადგან მისი არსებობის აუცილებელი პირობაა ქვეყნის ბაზრის დაცვა კონკურენტებისაგან. ამ რთულ საქმეს ეროვნული ბურჟუაზია, ცხადია, თავს მარტო ვერართმევს და იგი უცხო ქვეყნების ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისთვის მიმართავს ხალხს. თავისი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ბურჟუაზიას ხალხში შეაქვს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება. რუსეთის საიმპერატორო კარისათვის, ცხადია, საქართველოში პროცესის ასეთი გზით განვითარება სასურველი არ იყო. **ქართული ეროვნული ბურჟუაზია პოლიტიკურ ძალად არ უნდა ქცეულიყო.** სწორედ ამიტომ რუსეთის საიმპერატორო კარმა და კავკასიის კოლონიურმა ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქართველოს ეკონომიკა არაქართული ბურჟუაზიის (ძირითადად სომხურისძ ხელში აღმოჩენილიყო. სომხურმა ბურჟუაზიამ ჩაიგდო ხელში ხელოსნობა და ვაჭრობა, წვრილი სამრეწველო საწარმოები და ბოლოს – ფაბრიკა-ქარხნები.

**ვახტანგ გურული,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**

(გაგრძელება იქნება)

ინფორმაცია

## ლეიბორისტთა პროტესტი

**„ლეიბორისტული პარტიის დემონსტრაციული არმიწვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აშშ-ის მთავრობას სურს მეგობრობა არა ქართველ საზოგადოებასთან, არამედ სააკაშვილის მარიონეტულ მთავრობასთან. ეს ფაქტი დადასტურებაა იმისა, რომ აშშ-ის არ სურს იმ პარტიასთან მეგობრობა, რომელიც დღეს საქართველოში ყველაზე რეიტინგულია და ქართველი ხალხის ყველაზე მყარ მხარდაჭერას ფლობს“, – განაცხადა ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმა გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე.**

**მისივე თქმით, დენიელ ფრიდთან შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საპარლამენტო არჩევნების თემაც დაგეგმა.**

**„უკვე დაისახა ახალი გეგმები, რათა დღევანდელმა ხელისუფლებამ ისეთივე შედეგები მიიღოს საპარლამენტო არჩევნებში, როგორიც 5 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ აქვთ“, – აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა.**

## კოკოითი ახალგაზრდებს მოძღვრავს

**ოს სეპარატისტთა ე.წ. პრეზიდენტი კოკოითი ე.წ. სამხრეთ ოსეთის „სახელმწიფო“ უნივერსიტეტის ახალგაზრდობას შეხვდა და დამოძღვრა.**

**„ყველა ეპოქა, ამ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების წინაშე გარკვეულ ამოცანებს აყენებს, რომელთა შესრულებაზეც ძირითადად ერის მომავალია დამოკიდებული“, – ამ პათოსით მიმდინარეობდა აღნიშნული შეხვედრა.**

**მასში სამხრეთ ოსეთის ე.წ. საგარეო საქმეთა „მინისტრი“ მურატ ჯიოევი მონაწილეობდა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთების გაერთიანება სამხრეთ ოსეთის ხალხისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ამოცანაა და არავინ აპირებს, წინაპრების იდეის ღალატს“.**

**„პრეზიდენტმა“ კოკოითმა კი ახალგაზრდებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ 12 ნოემბერს დაგეგმილ რეფერენდუმში მონაწილეობით, მათ საკუთარი ნების გამოხატვის და საკუთარი ბედის გადაწყვეტის შესაძლებლობა ეძლევათ.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...

# მაცხოვრის ჯვრის სამსჭვალი

**5.** პარიზი, 1948 წელი. რომანოვების ტახტის მემკვიდრე დიდი მთავარი ვლადიმერ კირილეს ძე თავადის ასულ ლეონიდა გიორგის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელზე ქორწინდება. 1992 წლიდან რუსეთის ტახტის მემკვიდრე მათი შვილი, დიდი მთავარი მარია ვლადიმერის ასულია.

(როგორც ხმამაღლა და ყოვლად მართებულად გაჰყვიროდა დამოუკიდებელი ტელევიზიის ეთერში რუსეთის ხელდაუსხმელი პატრიოტი ვლადიმერ ვოლფის ძე ჟირინოვსკი: „ყველგან ებენი არიან!“)

კიდევ ვინ დავაქიმუნჯოთ? დერჟავინი, ისევ და ისევ იმ ბაგრატიონს რომ უძღვნიდა ოდებს? პუშკინი – თბილისის აბანოების ურცხვი რეკლამისათვის? გრიბოედოვი – ეთნიკურად უპასუხისმგებლო ქორწინებისა და მთაწმინდაზე დაკრძალვისათვის? ვისზე გავცვალოთ – ბაგრატიონსა თუ სტალინზე?) ლერმონტოვი, რუბინშტეინი, ვრუბელი, შალიაპინი?

... თუ ასე გაგრძელდა, ხალხისთვის ბევრი რამის დამალვა მოგვიწევს. მაგალითად, აი, რის: როცა მოციქულებმა პეტრემ, იოანემ, მათემ და სხვებმა წილი ყარეს, ვის, რომელ ქვეყანაში ექადაგა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმაც ინება ამაში მონაწილეობა და მას სწორედ საქართველო ეწილხვედრა. მაგრამ მოციქულებმა არ გაუშვეს იმსიშორეს ყოვლადწმიდა. ამისდამიუხედავად, საქართველო ღვთისმშობლის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ მყოფ ქვეყნადაა მიჩნეული (ნამდვილად კი ასე იყო: ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს მისი სახიერი ძე გამოეცხადა და უთხრა, საქართველოში წმიდა ანდრია მოციქული გაგზავნე და თან შენი ხელთუქმნელი ხატი წარატანეო, – **რედ.**)

ათასი წელი მოძღვრავდნენ ასე რუსი მართლმადიდებელი ღვთისმსახურნი ერს. და მალე ეს სამსახურებრივი დანიშნულების ინფორმაცია გახდება?

ასეთი ეთნიკური გარჩევების შესაძლებლობა სულ რაღაც ერთი თვის წინათაც კი ბოდვად მიგვაჩნდა. თუმცა, მთლად ბოდვად მაინც – არა. ჩვენში ყველაფერი მომხდარა. თუნდაც გერმანელთა დარბევა მოსკოვში 1914 წელს. ვიტრინებიდან ისროდნენ ბლუტ-



ნერის ფორტეპიანოებზე, დაარბიეს გამომცემლობა „ვოლფის ამხანაგობა“. იგი სწორედ მაშინ ეწეოდა ძირგამომთხრელ მუშაობას – სკოლებისთვის სურათების რეპროდუქციებს ამზადებდა „რუსეთის ისტორიიდან“. ჰო, სეროვის ტილოს რეპროდუქციას ვიღაც პეტრე დიდებზე. ყველა მოსკოველი გერმანელი დაარბიეს. არადა, ჯერ კიდევ ეკატერინეს დროს გარუსებულთ, გერმანელისა რაღა ეცხოთ?

და მაინც... მოდი და იპოვე, ვისთან ვიყავით უფრო მტკიცედ და თბილად დაკავშირებული, ვიდრე საქართველოსთან? პირველმა არხმა კვირაძალზე დიდმნიშვნელოვანად ჩამოარაკრაკა: „ისტორიულად ისე წარიმართა, რომ ბოლშაია გრუზინსკაიაზე ქართველები ვაჭრობენ“. დიახაც რომ, ასეც უნდა იყოს! ტიშინკასთან ქართველთა დასახლებას XVIII საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი. „სოკოლზე“ მდებარე ყოვლადწმიდის ტაძარში ბაგრატიონების საფლავები 200 წელზე მეტი ხნისაა. რა, ისევ თავიდან მოვყვე? შალიკოვების, ციციანოვების, ორბელიანების მოსკოვური სასახლეებიდან – დანელიამდე, ოკუჯავამდე და რეზო გაბრიაძის „ვოლგაზე სიმღერებამდე?“

მაგრამ, როგორც კი ნართაულად გადაუკრეს, ჰკა, მაგათო, მყისვე შეუდგნენ მოსკოველი მოსწავლეების გვარებისა და აკუნინის გადასახადების შემოწმებას. აი, ადამიანი, ვინც 90-იანი წლების მოსკოვში „ფართო მკითხველისათვის“ XIX საუკუნის რუსეთზე მრავალი გასაოცარი ამბის მოთხრობის ჯადოსნური საშუალება გამონახა.

ჰო, მართლა, არ დაფიქრებულხართ, რა წვლილი მიუძღვით ჩვენს „პუშკინიანობასა“ და რუსული ამპირის კულტის ჩამოყალიბებაში ებრაელ ლოტმანსა და ქართველ ოკუჯავას?

ერთი კი გადაუკრეს, ეცითო და ფინანსების ანალიტიკოსები სერიოზულად წერენ, შესაძლოა, კაზინოს შემდეგ (ოღონდ, განსაზღვრული ეთნიკური კუთვნილებისძ კომპანია „ვიმ-ბილ-დანი“ და მისი პატრონი იაკობაშვილიც ჯანიანად შევაჯანჯღაროთო.

რა, კომპანიის კეფირი „დომიკ ვ დერევნე“ ეთნიკურად უწმინდურია?

XIX საუკუნეში იყო ტერმინი – „გარუსების იდუმალება“ და იმპერიამ, გაგიხარიათ, იცოდა მისი გამოყენება. თუგინდ, „ჰოლანდიელი“ ვიტე, თუგინდ, „ურდოელი“ კოლჩაკი გავიხსენოთ. მომავალი იმპერატორის ალექსანდრე II აღმზრდელი დედით თურქი ჟუკოვსკი იყო. ხომ ენდნენ? ხომ გაამართლა?

როგორც ნებისმიერ დიდ ქვეყანაში, რუსეთშიც აღრეულია ეთნოსები. და ამაშია მისი ძალა, ისევე, როგორც რა გინდა რა დიდი ქვეყნისა.

თუ შეძლეს და ჩვენ – ტელეწამყვანებიდან სასწავლო ნაწილის გამგეებამდე – დღეს ქართველებზე მიგვასისიანეს, ხვალ ველოსიპედისტებსა და ოტოლარინგოლოგებზე დაგვგეშავენ.

სწორედ ესაა ყველაზე საშინელი და ამაზრზენი ბოლოდროინდელი მოვლენებიდან.

**ელენე დიაკოვა.**
„новая“.

ვითარება

# რატომ დააპატიმრეს ზაზა სოფრომაძე და სხვები და როგორი იქნება სასჯელი?



**სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელი ზაზა სოფრომაძე წინასწარი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი.**

არაოფიციალური ინფორმაციით, იგი გუშინწინ, გვიან ღამით დააკავეს და მისი დაკითხვა ფინანსური პოლიციის შენობაში მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა.

სოფრომაძის დაკავებასთან დაკავშირებით სამართალდამცავ უწყებებს ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებიათ. ჯერჯერობით არაფერი იციან სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდშიც. თანამშრომლები აცხადებენ, რომ დილით სოფრომაძის კაბინეტი დალუქული დახვდათ, დაკავების შესახებ კი მათთვის არავის უცნობებია.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელის მოადგილე გაიოზ თალაკვაძე ფონდის ფინანსურ ნაწილში რაიმე დარღვევას გამორიცხავს. იგი ასევე გამორიცხავს სოფრომაძის მონაწილეობას შოუბიზნესის წარმომადგენელთა ცნობილ საქმეში.

* * *

**საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სამი უწყების წარმომადგენლებმა – გენერალური პროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა და ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელმა დავით კეზერაშვილმა ერთობლივი ბრიფინგი გამართეს.**

როგორც კახა კობერიძემ განაცხადა, დაკავებულია სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ოპერატიული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ივანე მელიქიშვილი, შპს „ვიქტორია-ორიენტის" მენეჯერი დავით ნათიშვილი, ფონდის დირექტორის მოადგილე სპარტაკ ბუკია, ამავე ფონდის კონტროლისა და ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი ლევან ქორქოლიანი, ფონდის ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომელი გია სიორიძე და ფონდის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე კობა ძაძამია. ამ ადამიანებს ბრალი წარედგინებათ თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და ქრთამის აღებაში. ბრალი, დამტკიცების შემთხვევაში საკმაოდ მძიმე ბრალდებას განეკუთვნება და ამიტომ საგამოძიებო უწყებები მათთვის სავარაუდოდ წინასწარ პატიმრობას მოითხოვენ.

რაც შეეხება ფონდის გენერალურ დირექტორ ზაზა სოფრომაძეს, მასზე გენერალური პროკურატურა იშუამდგომლებს გირაოს შეფარდებასაც, რაც იმას გულისხმობს, რომ ალმკვეთი ღონისძიების შეფარდების შემთხვევაში სოფრომაძე პატიმრობიდან გათავისუფლდება. ამ დროისთვის გამოძიება დაადგენს, მონაწილეობდა თუ არა სოფრომაძე ქრთამის აღებაში.

სოფრომაძეს ბრალი თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით წარედგინება. გამოძიებით დადგინდა, რომ ამ თაღლითობის საშუალებით მითვისებულია 570 ათასი ლარი. გამოძიება მიმდინარეობს და ამიტომ შესაძლოა გაიზარდოს იმ პირთა სია, ვისაც აღნიშნულ დანაშაულში მიუძღვის ბრალი.

როგორც კახა კობერიძემ განაცხადა, სპარტაკ ბუკიამ, ლევან ქორქოლიანმა, დავით ნათიშვილმა, გია სიორიძემ მათივე თანამზრახველის ბურჭულაძის სახელით ერთ-ერთი ბანკში, თითქოსდა ზარალის ანაზღაურების მიზნით თანხა შეიტანეს (150 ათასი ლარი). თუმცა, საგამოძიებო ორგანოები თვლიან, რომ ეს დანაშაულის კიდევ ერთი მტკიცებულებაა.

ლადო ჭიპაშვილის განცხადებით, 2005 წლის ბოლოს მათ ეჭვი შეიტანეს ფონდის ხელმძღვანელობის კეთილსინდისიერებაში. მინისტრის თქმით, ვინაიდან




მათ არ ჰქონდათ მტკიცებულებები, დახმარებისთვის საქართველოს ფინანსურ პოლიციას მიმართეს, რომელმაც აღნიშნული დანაშაული დიდი ძალისხმევის შედეგად გახსნა.

როგორც ლადო ჭიპაშვილი განმარტავს, ვინაიდან ეს ფონდი განკარგავს ხალხის თანხას, თანამდებობის მიუხედავად, არც ერთი პირი არ იქნება დანდობილი.

* * *

**სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის თანამშრომლები ფონდის ხელმძღვანელის ზაზა სოფრომაძის გათავისუფლების სანაცვლოდ მზად არიან, გირაოს თანხა საკუთარი ხელფასიდან გადაიხადონ.**

„ჩვენთვის უცნობია, თუ რა თანხა დაუწესდება ბატონ ზაზა სოფრომაძეს გირაოს სახით, თუმცა ჩვენი კეთილი ნებაა, რომ ხელფასიდან გარკვეული თანხა, ნებაყოფლობით, ყველა თანამშრომელმა გაიღოს. იგი კარგი პიროვნებაა და ჩვენთვის წარმოუდგენელია ასეთი ბრალდებები, ამიტომ ყველანაირად მხარში დავუდგებით", – განუცხადა ინტერპრესნიუსს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის თანამშრომელმა თამარ ლომინაძემ.

მისივე თქმით, ზაზა სოფრომაძის სოციალური მდგომარეობა ამჟამად მძიმეა.

* * *

**სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელის ზაზა სოფრომაძის დაკავებასთან დაკავშირებით მისი ოჯახის წევრებმა პირველი კომენტარი გააკეთეს.**

ზაზა სოფრომაძის მამა გურამ სოფრომაძე დარწმუნებულია, რომ მისი შვილი უდანაშაულოა. გურამ სოფრომაძე არ გამორიცხავს, რომ ფონდში რაიმე სახის დარღვევა მართლაც მოხდა, თუმცა, იმედოვნებს, რომ მისი შვილის უდანაშაულობა მალე დამტკიცდება.

ზაზა სოფრომაძე წარმოშობით წყალტუბოელია. მისი მშობლები წყალტუბოში, დედაენის ქუჩაზე № 20-ში ცხოვრობენ.

* * *

**გენერალური პროკურატურა სახელმწიფო თანხების თაღლითურად მითვისების ფაქტთან დაკავშირებით ფარულ სატელეფონო ჩანაწერებს აქვეყნებს.**

გამოქვეყნდა რამდენიმე ეჭვმიტანილის, მათ შორის სოცდაზღვევის ფონდის კონტროლისა და ზედამხედველობის ინსპექციის უფროსის ლევან ქორქოლიანის, ფონდის ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლის გია სიორიძისა და სხვა ეჭვმიტანილების სატელეფონო საუბრების ფრაგმენტები.

ჩანაწერების თანახმად, საუბარია დიდი რაოდენობით თანხის გადახდაზე. ამ საუბრებში ნახსენებია სოფრომაძის გვარიც.

**„თქვენ რამდენს დებთ?" „– 150-ს", „რამდენი დარჩა?" – „200-ზე მეტი". „შეიძლება რაღაცა ასი შეიტანონ", „რაღაცა უნდა გააკეთოთ, ზაზამაც, სოფრომაძემაც. სიორიძეს უთხარი გაინძრეს, რა!"** – ნათქვამია ჩანაწერებში.

სოფრომაძეს ბრალი თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით წარედგინება. გამოძიებით დადგინდა, რომ ამ თაღლითობის საშუალებით მითვისებულია 570 ათასი ლარი.

თაღლითური ჯგუფი, რომელშიც შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებიც იმხილებიან, 8 თვის ფეხმძიმე ქალების მონაცემების გამოყენებით, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან დიდი ოდენობით თანხებს ითვისებდნენ.

გეგმის თანახმად, გაურკვეველ დოკუმენტებზე მოტყუებით ხელის მოწერის შემდეგ, ფეხმძიმე ქალები მცირე თანხას იღებდნენ, დანარჩენი თანხა კი (ათასობით ლარი), სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან პირდაპირ ეჭვმიტანილების კუთვნილი ფირმების საბანკო ანგარიშებზე ირიცხებოდა.

**ინტერპრესნიუსი**

გამოფენა

# აქ რომ მანქანებს ნახავთ!..

**დამიჯერეთ, თვალს ვერ მოსწყვეტთ იმ მანქანებს, რომელთაც თბილისის საგამოფენო ცენტრში იხილავთ, ხოლო თუ ჯიბეც გაძლევთ ამის საშუალებას, ნებისმიერ ფირმასთან შეგიძლიათ პარტნიორული ურთიერთობის დამყარება და უცხოური მარკის მანქანის შეძენა...**

გუშინ გამოფენების ცენტრ „ექსპო-ჯორჯიას" ტერიტორიაზე მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეთერთმეტე საგამოფენო პავილიონებში ავტომობილებისა და აქსესუარების მესამე საერთაშორისო სპეციალიზებული გამოფენა გაიხსნა.

გამოფენა პროექტის მენეჯერმა მაკა კაკულიამ გახსნა და აღნიშნა, რომ „ექსპო-ჯორჯია" მესამედ მასპინძლობს ასეთი სახის ექსპოზიციას, ბოლოს იგი 2001 წელს ჩატარდა. ეს ერთგვარი ექსპერიმენტი გახლდათ, მაგრამ მაშინ ბაზარზე შედარებით ნაკლები მოთხოვნილება იყო თანამედროვე, უახლეს ავტომობილებზე. ახლა მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა, ამიტომაც განვაახლეთ ეს პროექტი და გადავწყვიტეთ გამოფენა ისევ მოგვეწყოო.

დამსწრე საზოგადოებას ასევე მიესალმა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე დავით წიკლაური, რომელმაც განაცხადა, რომ ასეთი გამოფენები ხელს უწყობს საქართველოს იმიჯის ამაღლებას მსოფლიო არენაზე, პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას ევროპასა და მეზობელ ქვეყნებთან, საინტერესო კავშირების დამყარებას თანამედროვე, სხვადასხვა ტიპის მანქანების მწარმოებელ უმსხვილეს ფირმებთან.

„ექსპო-ჯორჯიას" ტერიტორიის დიდ მონაკვეთზე, დაახლოებით 3 ათას კვადრატულ მეტრზეა განლაგებული უახლესი ტიპის მსუბუქი ავტომობილები და სპეციალური სატრანსპორტო საშუალებები, ასევე აქ ნახავთ თანამედროვე ტიპის ველოსიპედებს, ჩვეულებრივ და ზღვის მოტოციკლეტებს, საავტომობილო უსაფრთხოების სისტემებს. აქვეა ავტომობილებისთვის საჭირო ქიმიური საშუალებები.

51 საგამოფენო სტენდზე წარმოდგენილია 18 ქვეყნის პროდუქცია – აშშ-დან, გერმანიიდან, დანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, იაპონიიდან, იტალიიდან, რუმინეთიდან, რუსეთიდან, საფრანგეთიდან, საქართველოდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, ჩეხეთიდან და ჩინეთიდან.

გამოფენაზე წარმოდგენილი მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების ფართო სპექტრი დიდი არჩევანის საშუალებას იძლევა, სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელი გემოვნებისა და მოთხოვნილების მიხედვით დაათვალიერებს სპორტულ და კონსერვატულ, მაღალი გამავლობის, სატვირთო და სამეურნეო ავტომანქანებს, სათადარიგო ნაწილებს და აქსესუარებს: საბურავებს, აკუმულატორებს, ამორტიზატორებს, ფილტრებს, ზეთებს და ა.შ.

ასევე დამთვალიერებლებს საშუალება ექლევათ, იხილონ ავტომობილების კერძო კოლექციები, ანტიკვარული და თანამედროვე მოდელებით.

დრო არ დაკარგეს და თავიანთი საქმიანობას რეკლამა გაუწიეს „კავკასტრანსექსპრესმა", საქართველოს ბანკმა, თიბისი ბანკმა და ზოგიერთმა პერიოდულმა გამოცემამ. გამოფენა 21 ოქტომბრამდე გასტანს, მნახველს საინტერესო ექსპოზიცია ელოდება. თბილისის საერთაშორისო ავტოშოუს მთელს სამხრეთ კავკასიაში ანალოგი არ გააჩნია და ის ამ რეგიონის საავტომობილო ბიზნესის ყველაზე წარმატებულ და მნიშვნელოვან ღონისძიებად გადაიქცა.

**ლალი ქინქლაძე**







◎ თბილისობა — 2006

# გიგანტური დეგუსტაცია...

**მთლად ოქროსფერი, მით უფრო საზეიმო ვერ არის წლევანდელი შემოდგომა, მაგრამ ბაქია ხელისუფლებას და „შოუ-ფართებს“ გადაყოლილ თბილისის მერიის თავკაცებს ხვალ, თბილისობის პირველ დღეს, ერთი უცნაური ღონისძიება, უკაცრავად, ღვინისძიება აქვთ შეტანილი პროგრამაში: 13 საათიდან 18 საათამდე „თბილისობა 2005“-ის დღესასწაულზე გიგანტურ საწნახელში დაწურული ღვინის დეგუსტაცია თბილისის უბნებში.**





შენ დაუკა! — რუსეთი მაინც სისხლს გვიშრობს, უმოწყალოდ გვჩაგრავს, ტერიტორიებს გვგლეჯს, პურს არ გვაწვდის, ასობით ქართველს მოსკოვ-პეტერბურგიდან აძევებს; საქართველოში სამომხმარებლო ფასები დღითი დღე მატულობს, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ჯიბეში ლარიანიც არ უჭყავის...

ჰოდა, უფასოდ მაინც ვიქეიფოთ! 2005 წელს გიგანტურ საწნახელში ჩაწურულ ღვინოს რაღა დეგუსტაცია უნდა, ერთი წლის ღვინო „ასიანი“ აჯობებს წლეულს, 16 სექტემბერს ჩაწურულს... ვსვათ და გავმართოთ ცეკვა-თამაში, ხელი მაგრად ჩავჭიდოთ ერთმანეთს, იქნებ, კარგი „ხორუმიც“ გამოგვივიდეს. მტრის ჯინაზე, ღვინით ტვინგაცხელებულებმა ქუჩაში მაინც გავითამაშოთ ნანატრი ერთობა... „ხორუმი“ ხომ ქართული ცეკვაა...

**მერე, აბანოთუბანში შევიაროთ. იქ, დილიდან საღამომდე, მრავალფეროვანი გასართობი სანახაობა დაგვავიწყებს ყოველგვარ დარდსა და ვარამს.**

**კვირას, დილის 11 საათიდან, ნაბახუსევზე (ნატურალური ღვინო თავს არ გატკენთ!) იპოდრომზე გავისეირნოთ და მიმინოებით ქართველ ბაზიერთა ნადირობას დავესწროთ. ათიოდე ბაზიერი კი გვყავს, მაგრამ... მიმინოებმა „დაბმული მწყრების“ გარდა, რა უნდა მოინადირონ, არ ვიცი. თუმცაღა, სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, რომ იპოდრომზე და მის ახლო-მახლო მდებარე რესტორნებში შემწვარ-მოხარშული ნადირ-ფრინველის დიდი არჩევანი იქნებაო.**

**თბილისელებსა და მათ სტუმრებს, ვისაც გადაჭედილი კაფე-რესტორნები ვერ დაიტევენ, რიყეზე, ძველ თბილისში, უფასო ექსკურსიები ელით, — ღვინო მიირთვით, ენერგია მოიკრიბეთ და იხეტიალეთ, რამდენიც გინდათ.**

**თუ დაიღლებით, რიყეზევე, 15-დან 18 საათამდე, უფასო კონცერტით დატკბით.**

**კვირას, მიმწუხრის ჟამს კი, რიყეზე აშენებულ სახელდახელო სცენაზე თბილისის ახალ საპატიო მოქალაქეებს აირჩევენ.**

**წინასწარ ვულოცავთ!**

ეს არის და ეს. დანარჩენი თითოეული თბილისელის შნოსა და მარიფათზეა დამოკიდებული.

თბილისობა მაინც იმედის დღესასწაულია და გულწრფელად გირჩევთ ოდენ ბახუსსა და დღევანდელობის ლანძღვა-გინებას ნუ გადაჰყვებით.

იმედით უმზირეთ მომავალს.

**სოსო დონაძე**

◎ აფორიაქებული განწყობით

# კალმახი არსად არ არის „უცხო ხილი“

## საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთმა უცნაურმა მოწადინებამ გამაკვირვა ძალიან...

საოცარი ძალა აქვს ელექტროკავშირს.

გასაკვირი.

წარმოუდგენელი.

განსაკუთრებით მაშინ, როცა მის ამოუწურავ შესაძლებლობებს მოხერხებულად მოირგებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

ბევრად უარესი, თუ საქმე მთავრობის რომელიმე წევრს ეხება.

ცოლს ვერ გაუწყრება ვერავინ.

მთავრობის სხდომაზე ცხვირს ვერ დააცემინებს დიდმოხელე.

ხუთ წუთში რადიო მთელ ქვეყანას მოსდებს.

ტელევიზია სულაც სახიერს გახდის.

მეორე დღეს გაზეთების ჯერი დგება.

როდის?

როგორ?

რატომ?

რანაირად?

აგერ, სულ რამდენიმე ხნის წინათ იყო.

სიახლე.

ცინცხალი ამბავი.

საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა ცნობა.

**„სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეთევზეობის განყოფილება მომავალში მეკალმახეობის განვითარებისთვის სერიოზული ღონისძიებების გატარებას გეგმავს“.**

განზრახული ყოფილა „**ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, მეთევზეებისთვის ტრეინინგების ჩატარება და საჩვენებელი თევზის საინკუბაციო საამქროების მოწყობა“.**

„საჩვენებელი თევზი“ მაბნევს, თორემ სხვა გასაგებია თავიდან ბოლომდე.

საქმე უნახიათ ბიჭებს და არ არის ურიგო.

უცნაური ის არის, რომ მთლად ახალი, უჩვეულო რაღაც არ უნდა იყოს.

არაერთი ასეთი სურათი მინახავს.

საკუთარი თვალით.

სულ ახლოდან.

აგერ, კარის მეზობელთან, თურქეთში.

ქალაქ იუსუფელის მახლობლად სრულიად ახალ სასტუმროში დავბინავდით, „მახათეთი“ ერქვა.

გვიანი ღამე იყო. ამიტომაც ვერ გავარკვიე ტოპონიმის რაობა.

მეორე დილით კაცი დავინახე. ბეტონის გუბურებთან იდგა. წყალში ყრიდა რაღაცას. შემთხვევით ვისარგებლე, სასტუმროს სახელის წარმომავლობას გავიგებ-მეთქი. უხმაუროდ დავადექი თავზე საქმით გართულ მასპინძელს, წყალში ჩახედვისთანავე დამავიწყდა, რა უნდა მეკითხა.

კალმახებმა დამაბნიეს.

მასპინძლის საყველპურო ქართული (შემინდოს უფალმა, თუ ვცოდავ) მაძლევდა საქმიანი საუბრის საშუალებას.



გამოირკვა:

ჯერ საგუბრები აუგიათ აქ, მერე სასტუმრო.

ჯერ კალმახები მოუშენებიათ, მერე სტუმრები მიუღიათ.

პარხლის წყლის ერთი ტოტია მოწყვეტილი სამი საგუბრისთვის.

პირველში ლიფსიტები დაცანცარებენ.

მეორეში მოზრდილები სხმარტალებენ.

მესამეში დინჯები დაცურავდნენ. კილოგრამზე მეტი იქნება თითოეული მათგანი.

არ მოისვენა სულმა — ხარბმა და წუწკმა.

„თუ შეგვიწვავთ“-მეთქი.

„ლიფსიტების გარდა ნებისმიერსო“, — იყო პასუხი.

იუსუფელი შესავალი ყოფილა.

მხოლოდ პროლოგი.

ტაოს, კლარჯეთის, შავშეთის გზებზე ვერ ვნახეთ რესტორანი. უბრალო სასადილო, სადაც საკალმახე მეურნეობა არ იწონებდა თავს მთავარი შენობის გვერდით.

კალმახი არსად არ ყოფილა „უცხო ხილი“. ჩვეულებრივი, მენიუში რიგითად შემავალი კერძი გახლდათ.

მესაკუთრეები კი...

აქაა დამარხული ჩემი მთავარსათქმელი.

ყველაზე საინტერესო: თითოეული საგუბარი რესტორნებს, საგზაო სასადილოებს ეკუთვნოდა. კერძო საკუთრებად ითვლებოდა.

უბრალოდ, ზოგადად კი არ ეკუთვნოდათ, პრაქტიკულად ფლობდნენ.

თურქეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვალი არ გაჭაჭანებულა არსად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასეთმა მოწადინებამ გამაკვირვა. მაინც რაში დასჭირდა-მეთქი ასეთი ძვირი პროექტის განხორციელებისთვის ეგზომ გულმოდგინე ზრუნვა, როცა სოფლებში ბევრად უფრო მარტივი და მომგებიანი საკეთებლებია ბედის ანაბარა მიტოვებული? ეს საქმე კერძო პირებისთვის რომ მიგვენდო და მიგვეხედა ვენახისთვის, ჩაისთვის, ტუნგოსთვის, არ იქნებოდა უმჯობესი?

ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს ვინმე საქმეში ჩემზე ბევრად უფრო ღრმად ჩახედულთან გავარკვევდი, ერთი უცნაური ფიქრიც ამეკვიატა და ვერ მოვიშორე.

ჭორად მესმის ხოლმე, წყლისა და ტყის რესურსების გაყიდვას აპირებენო. ეკონომიკური განვითარების სამინისტროში პროექტიც ყოფილა მზად.

**ვიეჭვე: საკალმახე მეურნეობების მოწყობაც ამ გეგმის ნაწილი ხომ არ არის?**

**ყველაფერი დასაშვებია.**

**არავინ არის გამკითხავი.**

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწყობილი საკალმახე მეურნეობები სახელმწიფო საკუთრება იქნება უკლებლივ. სახელმწიფო საკუთრების გაყიდვა სახელმწიფოს უფლებაა.**

**უნდა გაყიდის, უნდა გააჩუქებს.**

**საქმეც იოლდება.**

**ისიც სამჯერ.**

**ერთად გაიყიდება მიწა, წყალი, მეურნეობა.**

**სამმაგი იქნება ერთჯერადი შემოსავალიც.**

**ოღონდ ერთჯერადი.**

**დღევანდელი.**

**ხვალისა, ალბათ, ხვალემ უნდა იკითხოს.**

**იკითხავს კი?**

**რობერტ ძერია**

◉ ჩვენზე

# რატომ უნდა დაიცვას დასავლეთმა საქართველო

## თუკი რუსეთს უფლებას მივცემთ, კვლავაც განაგრძოს საქართველოს დაშინება, ახლო მომავალში მისი ნეოიმპერიალისტური ამბიციების დაკმაყოფილება დასავლეთს მოუწევს

**„ესაა შორეული ქვეყანა, რომლის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით“, — აგდებით თქვა ნევილ ჩემბერლენმა ჩეხოსლოვაკიის შესახებ 1938 წელს. რამდენად მართალი იყო იგი, კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მისი ფრაზა საკმაოდ ზუსტად ასახავს დასავლეთის დამოკიდებულებას იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ამჟამად ახალი „ცივი ომის“ წინა ხაზზე, კერძოდ, საქართველო და მოლდოვა, გავიდნენ.**

საქართველოც და მოლდოვაც მართლაც რამდენადმე განზეა დასავლეთის მიერ დიდი ხნის წინათ გაკვალული გზებიდან: არც ერთი, არც მეორე შველას არ ითხოვს, მაგრამ ორივე იძირება და თუკი „დაიხრჩობიან“, ამით დიდად დაზარალდება მთლიანად ევროპის უსაფრთხოება“, — წერს დიდი ბრიტანეთის გავლენიან გამოცემა „ტაიმში“ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ჟურნალ „ეკონომისტის“ კორესპონდენტი ედვარდ ლუკასი. იგი ასევე აღნიშნავს, რომ **დასავლეთმა, ფაქტობრივად, ყურადღება არ მიაქცია არც საქართველოს მიმართ გატარებულ რუსეთის მკაცრ სანქციებს, არც იმ დროს, რომელიც მან საამისოდ შეარჩია. მისი თქმით, კარგი იქნებოდა, თუკი გაიხსენებენ, რომ უკვე ერთ წელზე მეტი ხანია რუსეთის ჯაშუშები საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ცდილობენ, მაგრამ დასავლეთში გაწვრთნილმა ქართველმა კონტრდაზვერვებმა ჩაშალეს რამდენიმე ასეთი მცდელობა და აქამდე ამ ხალხს აყალმაყალის გარეშე აძევებდნენ ქვეყნიდან.**

„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ არაერთგზის თავაზიანად სთხოვა კრემლს ბოლო მოეღო ამ უმსგავსობებისთვის, ყოველივეს საშველი მაინც არ დაადგა და ბოლოს ხელისუფლებამ რუსეთის სამხედრო დაზვერვის ჯაშუშები დააპატიმრა და საჯაროდ გააძევა. ამ ნაბიჯს რუსეთის მიერ თავისი ერთი ციდა მეზობლის მიმართ ისტერიული გამონათქვამების პროვოცირება, შემდგომ კი საჰაერო და სახმელეთო სატრანსპორტო მიმოსვლის შეწყვეტა და ფინანსური კავშირების გაწყვეტა მოჰყვა. თანაც ყოველივე ეს მას შემდეგ გაკეთდა, რაც რუსი ჯაშუშები შინ დაბრუნდნენ“, — წერს ედვარდ ლუკასი.

ჟურნალისტი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ლამის საბჭოთა „აგიტპროპის“ ინსტრუქციიდან გადმოღებულმა რუსეთის კრიტიკამ საქართველოს მიმართ დასავლეთში საკმაოდ მომხრეები ჰპოვა. კერძოდ, **თავის პროგრამაში ჯონ ჰამრისმა, რომელსაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ინტერვიუ მისცა, „ლამის გაამათრახა საქართველოს პრეზიდენტი იმის გამო, რომ მას რუსეთის გეოპოლიტიკური ორბიტის დატოვება სურს, თითქოსდა ეს მისი ყმაწვილკაცური ჭირვეულობა იყოს“, — აღშფოთებას ვერ მალავს ედვარდ ლუკასი და დასძენს, რომ დეზინფორმაციული ომი იმ მასშტაბისაა, რომელიც საბჭოური დროიდან მოყოლებული არ ყოფილა.** მსოფლიოსთვის კრემლის სიტყვის მისაწოდებლად მობილიზებულია დასავლეთის საუკეთესო პიარ-სააგენტოები, ხოლო ინტერნეტში გამოჩნდა უცნაური შინაარსის საიტები, რომლებიც თითქოსდა დასავლეთის მიუკერძოებელ ანალიტიკურ ცენტრებს ეკუთვნის, თუმცა კი აშკარად ქადაგებს კრემლის შეხედულებებს და „რეალურ სამყაროში ფართოდაა ცნობილი საეჭვოდ ვიწრო წრეებში“.

ჟურნალისტის აზრით, მთავარი ისაა, რომ რუსეთელმა ნავთობკრატებმა სერიოზულად გადაწყვიტეს თავისი ქვეყნის გეოპოლიტიკური უკან დახევის შეჩერება, შემდგომ კი მოტრიალდებიან და წინ წამოვლენ. **თუ დაეცემა საქართველო, მას სხვებიც მიჰყვებიან: გაძლიერდება რუსეთის ზეგავლენა უკრაინაზე, დაწოლას ვერ გაუძლებს ევროპის ყველაზე სუსტი ქვეყანა მოლოდვა და სხვ.**





მეორე მომენტი ის გახლავთ, რომ **საქართველო — ესაა ცენტრალური აზიის ნავთობისა და გაზის მსოფლიო ბაზრებზე გატანის ერთადერთი გზა, სადაც უკვე გაიყვანეს „პირველი მერცხალი“ — ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, რომელიც რუსეთზე არ გადის.**

„ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის ბრძოლა, რომელსაც, სხვათა შორის, დასავლეთ ევროპაში, ფაქტობრივად, არავინ ამჩნევს, არაერთი წელია მიმდინარეობს და მასში რუსეთი ჯერჯერობით იმარჯვებს“, — აღნიშნავს ედვარდ ლუკასი და ხაზს უსვამს იმას, რომ ევროკავშირის ოცნება ერთიან ენერგეტიკულ პოლიტიკაზე, როცა მისი ოცდახუთივე წევრი ენერგორესურსების მიმწოდებლებთან ერთიან პოზიციებს დაიკავებენ, კვლავაც ოცნებად რჩება. რუსეთთან ორმხრივი შეთანხმებები თავდაპირველად დადეს მსხვილმა ქვეყნებმა — გერმანიამ და იტალიამ, ახლა კი მათ მაგალითს მიბაძეს ავსტრიამ და უნგრეთმა. ზოგ შემთხვევაში მათ, უბრალოდ, არჩევანი არა აქვთ, ვინაიდან საწვავის მიწოდებასა და განაწილებაში რუსეთის კომპანიებს იმდენად დიდი წილები აქვთ, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ერთი მცირე ქვეყნის მაღალი რანგის წარმომადგენელმა განაცხადა: „ჩვენ გვინდოდა ენერგეტიკული უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფი შეგვექმნა და მონაწილეობის მისაღებად ჩვენივე გაზის კომპანია მოვიწვიეთ, მაგრამ მათ უარი გვითხრეს: იმიტომ, რომ ეს ჩვენს აღმოსავლეთ პარტნიორს არ მოეწონებაო“.

— ამ მხრივ საქართველო მშვენიერი სამიზნეა, იგი ღარიბია, ხოლო მისი ისტორია სავსეა გასაოცრად უნიათო ხელმძღვანელობის მაგალითებით. ჩასავარდნად განწირული და ავტორიტარული ეთნიკური პოლიტიკა, რომელსაც საქართველო 90-იანი წლების დასაწყისში ატარებდა, ის შედეგი მოიტანა, რომ მის ორ მხარეს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, სადღეისოდ პრომოსკოვური სეპარატისტები აკონტროლებენ, — ამბობს ედვარდ ლუკასი. — თუმცა ახლა ვითარება იცვლება: სწრაფი ტემპით იზრდება ეკონომიკა, ხოლო დასავლეთელი მრჩევლები გაკვირვებას არიან ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების სისწრაფისა და ინტენსიობის გამო.

ჟურნალისტის პროგნოზით, **ჭეშმარიტების მომენტი ჯერ კიდევ წლის დამლევს დადგება, როცა დასავლეთი, არცთუ დიდი ხალისით, აღიარებს, რომ კოსოვო სერბეთის შემადგენელი ნაწილი კი აღარ არის, არამედ მეტნაკლებად დამოუკიდებელი სახელმწიფო ხდება. ეს ცხადია, გაამწარებს არა მარტო სერბეთს, არამედ მის რუსეთელ მფარველებსაც და რუსეთიც გადაჭრით იტყვის — თანაც გარკვეული ლოგიკა ამაში უდავოდ იქნება — რომ თუკი კოსოვოში ეთნიკური უმცირესობის გამოყოფისა და დამოუკიდებლობის მიღების უფლება მისცეს, მსგავსმა სხვა რეგიონებმა რა დააშავესო? შემდეგ კი, ზღაპრული სამთავა დევივით, ყველას შეშინებას დაიწყებს — აფხაზეთით, სამხრეთ ოსეთით და მოლდოვური დნესტრისპირეთით — და მათთვის დამოუკიდებლობას მოითხოვს, რაც, სინამდვილეში მათ თანდათანობით რუსეთის შემადგენლობაში შესვლას ნიშნავს.**

**ვითარების კატასტროფამდე არმიყვანა ჯერ კიდევ გვიან არ არის. დასავლეთი საქართველოს მხარში უნდა ამოუდგეს და, ამავე დროს, ხაზი უნდა გაუსვას რეფორმების გაგრძელების აუცილებლობას, სახელმწიფოებრივი მართვის სრულყოფასა და სეპარატიზმის პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის აუცილებლობას. დასავლეთმა ასევე უნდა განაცხადოს, რომ ნატოს კარი ღიაა ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელიც რეფორმებისა და სამხედრო კომპეტენციის სტანდარტებს აკმაყოფილებს. გარდა ამისა, რუსეთს უნდა შეაგნებინოს, რომ საქართველოსადმი დასავლეთის მხარდაჭერა — ეს გეოპოლიტიკური მუშტების ქნევა კი არა, არამედ ქვეყნის ნათლად გამოხატული თავისუფალი არჩევანის პასუხია, რომელსაც სურს საკუთარი უსაფრთხოებისა და თავისუფლების უზრუნველყოფა.** სწორედ იმ უსაფრთხოებისა და თავისუფლებისა, რომლისკენ ოდესღაც, დემოკრატიულ 90-იან წლებში, ასე ესწრაფოდა თავად რუსეთი.

**მოამზადა**
**ოთარ ტურაბელიძემ**

◉ გვწერენ

# იქნებ თქვენ მაინც აგვიხსნათ?

## გამოხმაურება „საქართველოს რესპუბლიკის“ 18 ოქტომბრის ნომრის პუბლიკაციაზე – „როგორი ზამთარი გველის?“

**თუ ელექტროენერგიასა და ბუნებრივ აირზე ტარიფი კიდევ გაიზარდა, თანაც იმ დონემდე, ლეიბორისტები რომ აცხადებენ, ეს ჩვენი ეკონომიკის სრულ ქაოსსა და კრახს გამოიწვევს. გაქრება ქართული წარმოების პროდუქტები, რადგან ჩვენი ტექნიკური შესაძლებლობები (სამაცივრო ტექნიკა, საქვაბე მეურნეობა და სხვ.) ვერ უპასუხებს ევროპულ სტანდარტებს.**

ისევე, როგორიც დიდძალი თანხები და ინვესტიციები დასჭირდა ქართულ არმიასა და პოლიციას, რათა ისინი როგორმე რაღაცას დამსგავსებოდნენ, ჩვენს მრეწველობასაც სასწრაფო გადაიარაღება სჭირდება.

სამწუხაროდ, ჩვენს მეწარმეებს არც საგადასახადო კოდექსმა და ინფლაციურმა პროცესებმა არ მისცა ამის საშუალება მზარდი ტარიფების ფონზე. მხოლოდ ხმამაღალი განცხადებები კეთდება მეწარმეობის ხელშეწყობაზე, პრაქტიკულად კი ლეგალური ბიზნესის წარმოება შეუძლებელია. სამაგიეროდ ჩვენში კარგად განავითარეს შემმოწმებელ-მაკონტროლებელი სამსახურები, აღრიცხვა-ანგარიშსწორების უბნები... საქართველოში გამრიცხველიანდა და დამონტაჟდა ისეთი კვანძები, როგორიც ევროპაში არსად არ არის. ვემსგავსებით იმ უნაგირის პატრონებს, ვისაც ცხენის შეძენა სურს, მაგრამ ფული არა აქვს და ვირსაც ვერ ყიდულობს.

დღემდე არ ვიცით და, იქნებ თქვენ გაგვიშიფროთ და აგვიხსნათ, ძვირფასო რედაქცია, რუსეთიდან 110 დოლარად შემოტანილი 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი რატომ იყიდება 190 დოლარად? ჩვენ იმაზე ვტიროდით, საწყალი უკრაინა რა დღეშია, გაზს 190 დოლარს უფასებენო და, ჩვენ ადგილზე რას გვერჩიან?

რატომ გაძვირდა ასე უსაშველოდ ელექტროენერგია ქვეყანაში, სადაც ამდენი წყლის რესურსია? რატომ არის ასე ძვირი ბუნებრივი გაზი ჯეიჰანისა და სხვა პროექტების ამოქმედების ფონზეც? გამაღიზიანებელია რაღაც წარმატებებზე და რაღაცის მოთმენაზე საუბარი. ასე იყო შევარდნაძის დროს, ასე გრძელდება ახლაც.

ხომ შეიძლება უფრო პრაგმატულად ვიფიქროთ? მეწარმე მარტო თოფაძე და ჭყონია ხომ არ არიან?

**მართლაც, როგორც თქვენი გაზეთი წერს, მთავრობამ უფრო მოქნილად უნდა იმოქმედოს ქართველი მეწარმეების მხარდასაჭერად.**

**ნოდარ იაშვილი,**
**თბილისი.**

◉ სამეგრელოს მხარე

# უკრაინული დიასპორის წარმომადგენლები სენაკში

**სენაკის საჯარო ბიბლიოთეკაში შეხვედრა გაიმართა სენაკის რაიონში მცხოვრებ უკრაინული დიასპორის წარმომადგენლებთან. შეხვედრა გახსნა რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა ციური ხორავამ.**

ქართველი და უკრაინელი ხალხების ისტორიული და კულტურული, ქართველ და უკრაინელ შემოქმედთა ლიტერატურული და მეგობრული ურთიერთობათა შესახებ გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი, მწერალი ბორის დავითაია და ცოტნე დადიანის სახელობის სოხუმის ჰუმანიტარული ინსტიტუტის დოცენტი ინგა ზარანდია. მათ ვრცლად მიმოიხილეს საქართველოს და უკრაინის მეგობრობის ღრმა ფესვები, ურთიერთობა შორეულ წარსულსა თუ აწმყოში, გაიხსენეს დავით გურამიშვილი და ლესია უკრაინკა. დღეს მეგობრობა გრძელდება, შეიქმნა და იქმნება ნაციონალური ოჯახები. ამის დასტურია ქალბატონი ელენე კვაშილავა-კრავჩენკო, რომელიც სენაკელთა რძალია და ერთ-ერთი თვალსაჩინო პიროვნებაა.

მეტად შთამბეჭდავი იყო სენაკის რაიონის სოფელ თეკლათში მცხოვრები უკრაინელი ჯემალ გოგოლის გამოსვლა. მან დამსწრეთ შეახსენა გოგოლთა გვარის ჩამოსახლების ისტორია, თუ როგორ შეარქვეს თეკლათის ერთ-ერთ ამ ლამაზ უბანს რეკა.

ელენე კრავჩენკოს დიდი სურვილი აქვს აღადგინოს ადრე არსებული მეგობრობა ქ. სენაკსა და ბელაია ცერკოვს შორის.

შეხვედრაზე უკრაინელი დიასპორის წარმომადგენლებს გულთბილად მიესალმნენ პროფესორი გ. ცეკვავა, ინჟინერი ზ. ფაჩულია, პოეტები გ. კირცხალია, ვ. ნადარაია, სახელმწიფო თეატრის მსახიობები თ. თოფურიძე, უ. დამენია, დ. ზურაბაშვილი, ი. ადამია.

**საღამო ორივე ქვეყნის ჰიმნებით და უკრაინული სიმღერით დასრულდა.**

**იოსებ გოგეჩია,**
**„სრ“ საკ. კორ. ქ. სენაკი.**

კრიმინალური სამყარო

# ბატონი ქურდი

## როგორ გაინაწილეს ქართველმა ავტორიტეტებმა რუსეთი

**დიდი ხანია ყველასთვის ცნობილია, რომ ეგრეთ წოდებული კანონიერი ქურდების უმრავლესობა წარმოშობით საქართველოდანაა. ამასთან თუ ადრე ქართველი ქურდები თავიანთ „გვირგვინს“ კრიმინალური სამყაროს ყველა კანონის შესრულებისთვის ღებულობდნენ, ბოლო 10-15 წელია ბევრი მათგანი არა მარტო არღვევს ამ კანონებს, არამედ ამ „გვირგვინს“ უბრალოდ ყიდულობს. ასე გაჩნდა ტერმინი „ფორთოხლები“, ანუ ქურდები, რომლებმაც ეს ტიტული იყიდეს.**

არც ის არის საიდუმლო, რომ დანაშაულებრივი სამყაროს ბევრი „მეფე“ ასკეტურად სულაც არ ცხოვრობს. საქმე ის კი არ არის, რომ ისინი დაოჯახდნენ, რაც ქურდული სამყაროს ძველი კანონებით უკვე წარმოადგენს კანონების გადახვევას. მათ ვილები შეიძინეს, ბიზნესი აქვთ, ხელისუფლებისკენ ილტვიან. ერთი სიტყვით, აკეთებენ ყველაფერს, რისთვისაც ადრე შეიძლებოდა ქურდის წოდება დაეკარგათ და „იზგოებად“ ქცეულიყვნენ. სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, დღეს რუსეთისა და დსთ-ს ქვეყნების ტერიტორიაზე 1285 ქურდი მოქმედებს. ეს ციფრი დროდადრო იცვლება ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, ბოლო წლებში კი ის დასტაბილურდა, რადგან კრიმინალური ლიდერები თავად მიხვდნენ, რომ მეტისმეტად მომრავლდნენ, „ავტორიტეტი“ კი თანდათან კნინდება. შედეგად ახალ „კურთხევათა“ რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა.

მიუხედავად იმისა, ეს ციფრიც კი საკმაოდ მოზრდილია. ამ რაოდენობის 60 პროცენტს ქართველი ქურდები შეადგენენ. მოსკოვში მუდმივად ქართული წარმოშობის 300 ქურდი იმყოფება, მათი თავმოყრის ადგილებს შორის შეიძლება დავასახელოთ პიტერი და ქვეყნის სამხრეთ რეგიონები. რუსეთის დანარჩენ ტერიტორიაზე კი ქურდების მცირე ნაწილია მიმოფანტული.

მოსკოვში 100-მდე ქართული დაჯგუფება არსებობს. მოსკოვში და საერთოდ მთელ რუსეთში დაწყებული წმენდის შემდეგ ქურდები და ქართული კრიმინალური თანამეგობრობის სხვა წარმომადგენლები არჩევენ ზედმეტად არ გამოყონ თავი. მათი ნაწილი რამდენიმე დღის განმავლობაში არ გამოდის ბინიდან, სადაც იმალება, სხვებმა კი ჯერ კიდევ თბილ და ნამდვილად მშვიდ შავიზღვისპირეთს მიაშურეს. დანარჩენებს კი თვალი უკრაინისკენ უჭირავთ, სადაც მათ მიმართ ლოიალურები არიან.

ბოლო დროს, უკრაინის შსს-ს მონაცემებით, ქართველი ქურდების რაოდენობამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგრძნობლად იმატა და ეს ტენდენცია თანდათან ძლიერდება.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართულ კრიმინალიტეტს დიდი ხანია მოსკოვში ჩამოყალიბებული ბიზნესი აქვს, რომელსაც სლავური და სხვა კრიმინალური დაჯგუფებებისა და აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს ასე ადვილად არ დაუთმობენ.

### რას აკონტროლებენ ქართველი ქურდები მოსკოვში?

ოპერატიული მუშაკები ამბობენ, რომ ამ მასიდან საკუთრივ ქართველი ბანდიტების გამოყოფა ძალზე ძნელია. თანაც დანაშაულებრივი დაჯგუფებები თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალურია. ხოლო ეთნიკური კუთვნილება მხოლოდ კონკრეტული ეროვნებით კი არ განისაზღვრება, არამედ, ვთქვათ, დაბადების ადგილითაც ან სხვა მიზეზებითაც.

მაგალითად, ბოლოდროინდელი ქართული ანტიკრიმინალური ტალღის დროს გამოცხადდა, რომ ჩაშლილი იქნა ქურდების თავყრილობა ქართველი ავტორიტეტების მონაწილეობით. თავისი შემადგენლობით ეს თავყრილობა საჩვენებელია. შემოწმების მომენტისთვის რესტორანში იმყოფებოდა 16 ადამიანი, რომელთაგან ოთხი ე. წ. კანონიერი ქურდი იყო. ესენი არიან 38 წლის ედუარდ ასატრიანი, იგივე ედიკ ტბილისკი, ანუ „ოსეტრინა“, 41 წლის იური პი-





ჩუგინი მეტსახელად პიჩუგა, რომან კაშჩაევი მეტსახელად კაშჩეი და ტიმოხას მეტსახელით ცნობილი 33 წლის ტიმოფეი კაპჩენინი.

თავყრილობის მონაწილეთა უსაფრთხოებას დაცვის კერძო საწარმოთა შეიარაღებული თანამშრომლები იცავდნენ. სხვათა შორის, პიჩუგინმა უკრაინის მოქალაქის პასპორტი წარმოადგინა, რომელსაც აშკარად ემჩნეოდა, რომ ყალბი იყო. იგი კაზინო „კოსმოსის“ არაკანონიერ კარტოთეკაში განუსაზღვრელი კრედიტის მქონე მუდმივ კლიენტად გადიოდა.



მიუხედავად ამისა, რომ დაკავებულ ქურდებს შორის არც ერთი ეთნიკური ქართველი არ ყოფილა, თითოეული მათგანი საკუთარ ტიტულს სწორედ ქართულ ქურდულ კლანებს უნდა უმადლოდეს. სომხური დანაშაულებრივი თანამეგობრობის ლიდერი ედუარდ ასატრიანი ბოლო რამდენიმე წელიწადში არაერთხელ დააკავეს „დედაქალაქის თავყრილობებზე“. მაგალითად, 2004 წლის მარტში კაფეში „მნევნიკი“ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თანამშრომლებმა ედიკ „ოსეტრინას“ მიერ მოწყობილი თავყრილობა ალკვეთეს. მის გარდა თავყრილობაზე იმყოფებოდნენ კანონიერი ქურდები რევაზ კახმაზოვი მეტსახელად რეზო და სერგეი იაკოვი მეტსახელად „სერი“. სიკტივკარელი კანონიერი ქურდი იური პიჩუგინი, ოპერატიული მონაცემების თანახმად, ქართველმა ქურდებმა 1990 წელს ვლადიმირის „კრიტი“ ციხეში აკურთხეს. მაშინ ქართველი ქურდების დაჯგუფებას ცნობილ ვლადიმირის ცენტრში ხელმძღვანელობდა რევაზ ბუხნიკაშვილი, მეტსახელად პეწო.

პიჩუგინი მოსკოვში ცხოვრობს და მეგობრული ურთიერთობა აქვს ქართველ კანონიერ ქურდებთან, ქუთაისური კლანის წარმომადგენლებთან.

ახალგაზრდა ავტორიტეტები რომან კაშჩაევი და ტიმოფეი კაპჩენინი ერთ დღეს, 2004 წლის აგვისტოში აკურთხეს მოსკოვში.

ამრიგად მარტო ამ მაგალითითაც კარგად ჩანს, რომ საკუთრივ „ქართული“ დაჯგუფებები ძალზე შედარებითი ცნებაა. მიუხედავად ამისა, შეიძლება აბსოლუტურად ზუსტად ითქვას, რომ ქართული ქურდული ინტერესების სფეროში შედის:

**კაზინო და უბრალოდ სათამაშო ბიზნესი.**

მაგალითად კაზინოებში „კრისტალი“, „გოლდენ პალასი“ და „იმპერია“, ოპერატიული მონაცემებით, შაქრო „მოლოდოის“ ჰქონდა ფინანსური ინტერესი. დასახელებულ კაზინოებში პაპა ჰასანის ხელიც იგრძნობა. კაზინო „კოსმოსში“ ხშირად ჩნდებოდნენ პიჩუგა და პეტრიკი. ეს უკანასკნელი სასტუმროების ბიზნესს ეწეოდა. კაზინო „ბაკარა“ ქუთაისელი და მეგრელი ქურდების გაძლიერებული ინტერესის სფეროში შედიოდა.

ნებისმიერი **ბაზრები**, სადაც კი ალურიცხავად ნაღდი ფულის დიდი თანხების ხელში ჩაგდება შეიძლება პატარა საოლქო ბაზრები, უპირატესად ოლქის ჩრდილო-აღმოსავლეთში.

**10-მდე ბანკი.**

მსხვილი თანხების განაღდება (ოპერატიული მონაცემებით, აქ ყველაზე ცნობილია ადამიანი მეტსახელად ჯუმბაძ. ისიც ბანკების საშუალებით მუშაობს. ზოგიერთი მონაცემით, ამ გაზაფხულზე თაღლითური ოპერაციის შედეგად რუსეთიდან 800 მლნ. დოლარის თანხა გავიდა.

**ბენზინის, საწვავ-საპოხი მასალების გასაღება.**

**ალკოჰოლური პროდუქციის წარმოება და გასაღება.**

**სასტუმროების ბიზნესი** (ეს ძირითადად მოსკოვს კი არ ეხება, არამედ შავ ზღვისპირეთს).

ქურდებს საკუთარი წილი აქვთ მსხვილ **საქალაქთმშენებლო საწარმოებშიც,** როგორც უშუალოდ, ისე შემცვლელი პირების მეშვეობით.

მოსკოველი ქართველი ქურდები **ნავთობის ბიზნესშიც** მონაწილეობენ. მათ ნავთობმომპოვებელ რეგიონებში საკუთარი წარმომადგენლები ჰყავთ და, შესაბამისად, წილიც აქვთ. ამასთან ეს ბიზნესი იმდენად მნიშვნელოვანია მათთვის, რომ თუ ადგილობრივ ავტორიტეტებთან პრობლემები შეექმნებათ, ეს ბიზნესი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება გაიყოს.

ბუნებრივია, არც **ჩვეულებრივი ქურდული საქმიანობა** უნდა დავივიწყოთ:

ბინების ძარცვა, მანქანების გატაცება, თავდასხმები ვალუტის გადამცვლელ პუნქტებთან და სხვ. როგორც წესი, აქ ქურდების მონაცვლე ბრიგადები მოქმედებენ, რომლებიც გარკვეული ლიდერის ხელმძღვანელობით მუშაობენ. ისინი „ვახტური მეთოდით“ ჩამოდიან დედაქალაქში და მაშინვე თავიანთი თანამემამულეების ხელმძღვანელობის ქვეშ ექცევიან. ასეთები დანაშაულს რომ ჩაიდენენ, მაშინვე მიემგზავრებიან.

დედაქალაქში კრიმინალური ქართული დაჯგუფებების დაახლოებითი მიმოქცევის დასახელებაზე ოპერატიულმა მუშაკებმა კატეგორიული უარი განაცხადეს **„ეს უბრალოდ შეუძლებელია. ჯერ ერთი, მსგავსი ანგარიშები სპეციალურად არასდროს გვიწარმოებია, — გვითხრეს მათ. — გარდა ამისა, გათეთრებული ფულის დიდი რაოდენობა ისევ იდება ბიზნესში. ასე რომ შემოსავლის გამოთვლა პრაქტიკულად შეუძლებელია“.**

ბევრი სლავი ქურდი, რომელიც „რეგიონებში ზედამხედველობს“, ქართველი ქურდების დაქვემდებარებაშია. ბოლო დროს განსაკუთრებით მაღლა პაპა ჰასანმა და პაატამ „აიწიეს“. ეს იმასთან არის დაკავშირებული, რომ მათი კონკურენტები, ასევე აშკარა ლიდერები შაქრო „მოლოდოი“ და ვიტალიკა „ზვერი“ ესპანეთის ციხეში არიან.

შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ წმენდის დაწყების შემდეგ ქურდების დიდი თავყრილობები შედგებოდა, რომლებზეც კრმინალური ლიდერები შექმნილ სიტუაციაზე იმსჯელებდნენ. მაგრამ ექსპერტთა აზრით, ეს არ მოხდება და დიდი, 50-კაციანი თავყრილობები უკეთესი დროისთვის გადაიდო. შექმნილ ვითარებაში, როცა მასშტაბური ოპერაციები მიმდინარეობს, თუ თავყრილოობას ოპერატიული მუშაკები დაესხმიან, მისი ჩაშლისთვის პასუხისგება ინიციატორს მოუწევს და ასეთ შემთხვევაში ქურდის წოდებასთან დამშვიდობებაც სულ ადვილად შეიძლება. ამიტომაც ელოდებიან ქურდები, როდის ჩაცხრება მათი დევნის ტალღა. ეჭვი არ არის, რომ ქურდების 5-10 კაციანი თავყრილობები გადაუდებელი პრობლემების გადასაჭრელად მაინც შედგება. ოღონდ ახლა ისინი უწინარესად ღიად კი აღარ ჩატარდება, არამედ კონსპირაციის ყველა წესის დაცვით. შეიძლება ისინი სულაც სამხრეთში ან უკრაინაში გადაიტანონ. ერთ-ერთი მთავარი კითხვა, რომელიც დღეს არაქართული ეროვნების ქურდების წრის წარმომადგენლებს აფიქრებს, ისაა, თუ ვინ დაიკავებს გათავისუფლებულ ადგილებს. სლავი ქურდები და ბანდიტები კი ალტაცებულნი არიან და ტაშს უკრავენ.

თუმცა, აქ ყველაფერი ასე მარტივად არ არის.

ბევრმა ქართველმა ქურდმა რუსეთის მოქალაქეობის მიღება მოასწრო ან ფიქტიური ქორწინების გზით, ან მოქალაქეობის ყიდვით, შემდგომში საცხოვრებელი ადგილის მრავალგზის გამოცვლითა და პასპორტების შეცვლით. ბევრმა ქურდმა რუსეთის მოქალაქეობა აფხაზეთის გამოყენებით მიიღო, სადაც ერთ პერიოდში ჩვენს პასპორტებს თავისუფლად არიგებდნენ.

საქართველოში მათ უბრალოდ არაფერი ესაქმებათ. ჯერ ერთი სააკაშვილის მიერ მიღებული კანონით, ჯერ მარტო ქურდული კასტის წევრობისთვის მათ 10-წლიანი პატიმრობა და ქონების კონფისკაცია ემუქრებათ. საქართველოს ციხე კი ძალიან განსხვავდება რუსეთის ციხისგან, ის მასზე ბევრად უარესია. მეორეც — არასაჯარო ოპერატიული ინფორმაციით, სააკაშვილმა შეკრიბა ქურდების ქუთაისური კლანის წარმომადგენლები და განუცხადა მათ, რომ არ მისცემს ქართველი ხალხის ძარცვის უფლებას, რომელიც ისედაც სიღატაკეში ცხოვრობს. მათ მფარველობა შესთავაზეს იმ პირობით, რომ ქურდები სამოღვაწეოდ მეზობელ რუსეთს აირჩევდნენ, ხოლო ყველა დაბანდებას საქართველოში გადმოაგზავნიან. კონფლიქტური სიტუაციების შემთხვევაში მათ რაღაც დროით თურქეთი, ან ამ ფაქტის აფიშირების გარეშე თავად საქართველო შეიფარებდა.

საბოლოო ჯამში, ქართველი კრიმინალური ავტორიტეტების ტალღამ რუსეთის ჩვეულ გარემოში დახევა ამჯობინა, საკუთარი ნათესავები კი საქართველოში მძევლად დატოვა. ქართული კანონებით ხომ კანონიერი ქურდების ნათესავებსაც ხვდება. ჯობია რუსეთში ვისხდეთ, ვიდრე შინო, მიაჩნია ბევრ ქართველ ბანდიტს. მაგრამ...

ისხდებიან კი?..

МОСКОВСКИЙ МК КОМСОМОЛЕЦ

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ცხინვალი თბილისს კიდევ ერთი ნაბიჯით შორდება

**17 ოქტომბერს სამხრეთ ოსეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაასრულა ამ თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია. არჩევნები იქ გაიმართება 12 ნოემბერს რეგიონის დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის პარალელურად.**

როგორც სამხრეთ ოსეთის ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირინა გაგლოევამ აღნიშნა, ადგილობრივი მოსახლეობა უეჭველად მისცემს ხმას საქართველოსთან ურთიერთობის საბოლოო გაწყვეტას, რადგან ცხინვალში ამზადებენ დოკუმენტებს, რომლებიც შეუწყობენ ხელს რესპუბლიკის აღიარების პროცედურის დაწყებას.

გაგლოევა გულისხმობს ამ დღეებში მიღებულ დეკლარაციებს **„გასული საუკუნის დამდეგს ქართველების მიერ ოსთა გენოციდის შესახებ“**, რომლისთვისაც რეგიონული პარლამენტის პრეზიდიუმმა უკვე მოამზადა სამართლებრივი დასაბუთება. ირინა გაგლოევამ აღნიშნა, რომ ცხინვალი აპირებს გაუგზავნოს დეკლარაცია დსთ-ს წევრი ქვეყნების მეთაურებს, შემდეგ კი – მიმართოს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს დოკუმენტთა დამატებითი პაკეტით, რომელიც ადასტურებენ უკვე 90-იან წლებში საქართველოს მიერ ოსეთის ამ ნაწილის განადგურების ფაქტს.

სამხრეთ ოსეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჯერჯერობით რეგისტრაციაში გაატარა ოთხი კანდიდატი. ესენი არიან დროებით უმუშევარი ოლეგ გაბოძე, ცხინვალის რაიონის ადმინისტრაციის მეთაური ინალ ფუხაევი, შერეული საკონტროლო კომისიის აპარატის ხელმძღვანელი სამხრეთ ოსეთის მხრიდან ლეონიდ თიბილოვი, აგრეთვე თვითაღიარებული რესპუბლიკის მოქმედი პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი.

ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ კოკოითი დარჩება ამ პოსტზე კიდევ ერთი საპრეზიდენტო ვადით. მაგრამ ცხინვალში ნოემბრის მთავარი მოვლენა იქნება არა პრეზიდენტის არჩევნები, არამედ პლებისციტი. ამასთან დაკავშირებით ედუარდ კოკოითმა შენიშნა: „ჩვენ ვესწრაფვით გაერთიანებას ჩრდილოეთ ოსეთთან შემდგომში რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლით“. კოკოითს იმედი აქვს, რომ მას შემდეგ, რაც მსოფლიო გაერთიანება დარწმუნდება რეფერენდუმის დადებით შედეგებში, სიტუაცია კონსტრუქციული კალაპოტით განვითარდება.

ამავე დროს, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა **პეტერ სემნებიმ** განაცხადა: **„ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არ ექნება ამ რეფერენდუმის შედეგებს“. როგორც მან თქვა, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებაში უმთავრესია „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპები“.**

ექსპერტთა ერთსულოვანი აზრით, მიმდინარე წლის დამლევამდე პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველა თვითაღიარებული რესპუბლიკა დაასრულებს მოსახლეობის გამოკითხვას, უჩვენებენ საერთაშორისო გაერთიანებას, რომ სურთ განემიჯნონ იურიდიულ ცენტრებს, რის შემდეგაც ყველა ერთსულოვნად მოითხოვს რუსეთის ფედერაციაში შესვლას. ჯერჯერობით არავისთვის არ არის ცნობილი, თუ როგორ მოიქცევა რუსეთი ამ შემთხვევაში.



**სვეტლანა გამოვა**

НЕЗАВИСИМАЯ

# ევროკავშირი დაძაბულობის შენელებას მოითხოვს

**17 ოქტომბერს, ლუქსემბურგში გამართულ ევროკავშირის საბჭოს შეხვედრაზე, ევროკავშირის წევრმა-ქვეყნებმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება რუსულ-ქართულ კონფლიქტის შესახებ. როგორც უკვე აღინიშნა, ევროკავშირი აპირებს მიაღწიოს კრიზისის დიპლომატიური გზით მოწესრიგებას.**

„ჩვენ უკვე არაერთგზის ვურჩიეთ ქართულ მხარეს შეერბილებინა რიტორიკა“, – განაცხადა ევროკავშირის კომისარმა საგარეო პოლიტიკის საკითხებში **ბენიტა ფერერო-ვალდნერმა** და აღნიშნა, რომ თბილისმა აუცილებლად უნდა დაიწყოს დიალოგი „ძალზე მნიშვნელოვან მეზობელთან“.

ქალბატონ ფერერო-ვალდნერის თქმით, ეს საკითხი ძალზე აშფოთებთ ევროკავშირის ქვეყნებს. **„ჩვენს დიდ შეშფოთებას იწვევს ქართულ-რუსული ურთიერთობის მდგომარეობა. უაღრესად შემაშფოთებელია ის ზომები, რომლებსაც მიმართავენ რუსეთში მომუშავე ქართველების, რუსულ სკოლებში მათი შვილების მიმართ, ცდილობენ ქართულ ბიზნესზე უხეშ ზემოქმედებას. შემაშფოთებელია ეკონომიკური სანქციები, სატრანსპორტო მიმოსვლის შეწყვეტა, საზღვრების დახურვა. ჩვენი აზრით, რუსეთის მიერ ასეთი ღონისძიებების განხორციელება ვერ შეუწყობს ხელს ვითარების ნორმალიზაციას – ემბარგო უნდა გაუქმდეს. მეორე მხრივ – და ეს მკაფიოდ არის დაფიქსირებული ევროკავშირის საბჭოს დასკვნებში – ყოველივე ამისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება ორივე მხარეს“**, – განაცხადა ბენიტა ფერეროვალდნერმა.

როგორც მან თქვა, კავკასიის საკითხებზე მომუშავე ევროკავშირის „სამეულის“ საქართველოში ვიზიტის დროს, ამ ქვეყნის ხელმძღვანელობას მიუთითეს, რომ არ არის სასურველი ისეთი მოქმედება და განცხადებების გაკეთება, რომლებიც შეუწყობენ ხელს დაძაბულობის გამწვავებას. ევროკომისარმა ასევე აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვენ ორივე მხარის წარმომადგენლები, ევროკავშირი იკისრებს შუამავლის როლს დიალოგის შერბილებისა და ნდობის აღდგენის მიზნით.

ამავე დროს, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარეს კონსტანტინე კოსაჩოვს მიაჩნია, რომ ევროკავშირის განცხადება, პრინციპში დაბალანსებული და საკმაოდ ობიექტურია.




**„ამ დოკუმენტის ძირითადი მომენტია ის, რომ ევროკავშირი მოუწოდებს მხარეებს შეიკავონ თავი დაძაბულობის შემდგომი გამწვავებისგან და არ მიმართონ ისეთ მოქმედებას, რომელიც პროვოკაციულად გამოიწვევდა ამას. ევროკავშირმა ამით შეიკავა თავი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში უშუალო ჩარევისგან და ამჯობინა ნეიტრალური არბიტრის როლი. ასეთ დაბალანსებულ მიდგომას შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ“**, – თქვა დეპუტატმა. მისი აზრით, რუსეთის მისამართით გამოთქმული კრიტიკა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა მთელი რიგი წარმომადგენლების მოქმედების გამო, დასაბუთებულია. მაგრამ, როგორც დეპუტატმა თქვა, ზოგჯერ ეს კრიტიკა არის ევროკავშირის რეაქცია იმ ზედმეტ ემოციებზე, რომელსაც ავლენს საქართველოს ხელისუფლება რუსეთის კანონიერ მოქმედებაზე, არალეგალური შრომითი მიგრაციის აღკვეთას რომ ისახავს მიზნად.

თავის მხრივ ევროკავშირის დეკლარაციის პასუხად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომელშიც კიდევ ერთხელ მოუწოდა რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს ანტიქართული ისტერია.

**ანია ვედენსკაია,**
**იური სიმონიანი.**

НЕЗАВИСИМАЯ

# ჩვენთვის უფრო იოლი აფხაზეთის გამოსყიდვა იქნება

**გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ მთავარი რედაქტორი ვიტალი ტრეტიაკოვი თავის აზრს გამოთქვამს აფხაზეთის მიმართ რუსეთის დამოკიდებულების თაობაზე:**

– თავისთავად, არ შეიძლება მივიჩნიოთ სენსაციად რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსა და პირადად პუტინის მისამართით აფხაზეთის პარლამენტის მიერ 18 ოქტომბერს გამოგზავნილი მიმართვა, რომელშიც მოითხოვენ ამ თვითაღიარებული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობას. ეს მოსალოდნელი იყო. ასეთი მიმართვები უკვე გამოგვიგზავნეს სამხრეთ ოსეთმაც, დნესტრისპირეთმაც. დამოუკიდებლობის ამ პარადს მრავალი მიზეზი აქვს. აქედან ორი მთავარია: რა თქმა უნდა, სერბეთისგან კოსოვოს ჩამოშორების მოახლოებული პრეცედენტი და საქართველოს აგრესია, რომელიც აცხადებს, რომ ყოველი ხერხით ეცდება ჩამოშორებული მიწების დაბრუნებას, თვით ომის ჩათვლითაც კი.

აფხაზთა მაქსიმალური მიზანი, რა თქმა უნდა, რუსეთის შემადგენლობაში შემოსვლაა. მაგრამ, ისინი ერთბაშად მოითხოვენ ძალზე ბევრს, რათა მინიმუმი მაინც მიიღონ – გამოეყონ საქართველოს. რას აკეთებს თვით რუსეთი? მოსკოვს აქამდე აკმაყოფილებდა ის, რაც გამოაცხადა ჯერ კიდევ ელცინმა, და ახლა იძულებულია გაიმეოროს პუტინმაც: მოსკოვი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. თუმცა ყველასათვის აშკარაა, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი თავიანთი ნებით არ დაბრუნდებიან საქართველოს შემადგენლობაში. რუსეთსაც არ შეუძლია ისინი ტანკებით შერეკოს იქ, მაგრამ დაიცავს ქართული ტანკებისგან.

მეორე მხრივ, ამ ბოლო 15-მა წელმა დაადასტურა თვითაღიარებული რესპუბლიკების სრული ქმედუნარიანობა. არჩევნები იქ უფრო დემოკრატიულადაც კი იმართება, ვიდრე საქართველოში. კიდევ 10 წელი და უკვე შეუძლებელი იქნება არ ვაღიაროთ ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა. მაგრამ საღღეისოდ კრემლი, როგორც ჩანს, ამისთვის მზად არ არის. პუტინმა თვითონვე საჯაროდ განსაზღვრა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის აღიარების ვადები – მაშინვე, როგორც კი დასავლეთი ცნობს კოსოვოს დამოუკიდებლობას.

რთული სათქმელია, თუ როგორ დაალწევს ამ სიტუაციას თავს პუტინი. შესაძლოა, მან დაავალოს რომელიმე ოფიციალურ პირს – მაგალითად, ბორის გრიზლოვს – განაცხადოს: ჩვენ კვლავ ვაღიარებთ საქართველოსა და მოლდავეთის მთლიანობას, მაგრამ ამ ქვეყნებს აქვთ პრობლემები ტერიტორიებთან დაკავშირებით. ჩვენ მზად ვართ, დავეხმაროთ მათ ამ პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაჭრაში. მაგრამ ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ყოველივე ეს მოხდეს ტანკების მეშვეობით. და ამ ტერიტორიების ხალხების მიერ რუსეთისადმი გამოგზავნილ მიმართვებთან დაკავშირებით ვაცხადებთ, რომ მათ წინააღმდეგ თუ გაჩაღდება ომი, დაუყოვნებლივ ვაღიარებთ ამ ტერიტორიებთა დამოუკიდებლობას!

არის კიდევ სხვა მოსაზრებაც: საერთოდ, არ არის საჭირო ველოდოთ ომის გაჩაღებას. უნდა ვაღიაროთ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, და მაშინ თბილისი უკვე ნამდვილად ველარ გაბედავს დამოუკიდებელ ქვეყნებზე თავდასხმას.

სხვათა შორის, უკვე კარგა ხანია ამის თაობაზე მაქვს კომპრომისული გადაწყვეტილება – გამოვისყიდოთ საქართველოსგან ეს მიწები. ჩვენ ხომ ბევრი ფული გვაქვს. დავუშვათ, მივცეთ თითო მილიარდი დოლარი ყოველი რესპუბლიკისთვის და ისინი იჯარით ავიღოთ 99 წლით. ასეთ შემთხვევაში სააკაშვილიც შეინარჩუნებს თავის სახეს და კრემლიც. აფხაზები და ოსები კი ქართველებში მტრებს აღარ დაინახავენ.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

# რუსეთს ომი არ სჭირდება

**თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის მიმართვასთან და შესაძლო რეფერენდუმთან დაკავშირებით რადიოსადგურ „მაიაკის“ წამყვანმა თავისი პოზიციების დაფიქსირება სთხოვა ჟურნალისტს და პოლიტოლოგს მიხეილ ლეონტიევს. აი, როგორი კომენტარი გააკეთა მან:**

– რა თქმა უნდა, რუსეთი არ არის ვალდებული მოახდინოს რეაგირება რეფერენდუმის შედეგებზე. რუსეთი იმიტომ კი არ დათანხმებულა ამ რეფერენდუმის გამართვას, რომ დაუყოვნებლივ მოახდინოს მასზე რეაგირება.

მაგრამ ჩვენ არ გვაქვს იმის უფლება, რომ შევუშალოთ ხელი აფხაზი ხალხის ნება-სურვილის გამოთქმას. გასაგებია, რომ აფხაზეთის ხელისუფლება ახლა არ გადადგამს თუნდაც ერთ ნაბიჯს ისე, რომ არ შეუთანხმოს ეს მოსკოვს.

ხოლო იმისთვის, რომ მოვახდინოთ ომის პროვოცირება, სულაც არ არის საჭირო რეფერენდუმების გამართვა. რუსეთი ომით რომ იყოს დაინტერესებული, იგი საქართველოს არ განუცხადებდა, რომ ადეკვატურ ნაბიჯს გადადგამდა თბილისის მიერ ომის გაჩაღების შემთხვევაში. რუსეთს ხომ შეუძლია ჩაუნერგოს საქართველოს იმის ილუზია, რომ მას შეეძლება დაუსჯელად განახორციელოს ძალისმიერი აქციები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, მაგრამ ამას არ ვაკეთებთ, რადგან არ ვართ დაინტერესებული ომით.

ჩვენს ინტერესებში შედის საქართველოს ხელმძღვანელობას ავუხსნათ, რომ რუსეთი არ უღალატებს თავის პრინციპებს და ეჭვქვეშ არ დააყენებს საერთაშორისო სამართლის იმ არსებულ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ეს მოხდება მანამ, სანამ საქართველო არ დაარღვევს არსებულ სამართლებრივ აქტებს და ძალის გამოყენებით არ ეცდება ეროვნებათაშორის კონფლიქტის მოგვარებას. სწორედ ეს არის შემაკავებელი საშუალება.

ფორუმი

# მალე 50 სტუდენტი დასაქმდება

**„განათლების და დასაქმების ფორუმი 2006“ დაიწყო. მისი ორგანიზატორია საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრი „კავკასია“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება. პროგრამა დაფინანსებულია ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერით, რომლის შემსრულებელი საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსია.**

ფორუმი შარშანაც ჩატარდა. მასში მონაწილეობა 2 ათასზე მეტმა სტუდენტმა მიიღო. 500 სტუდენტიდან გასაუბრების შემდეგ ასმა სტაჟირება კომპანიებში გაიარა და ორმოცდაათზე მეტმა სამუშაო ადგილი მიიღო.

როგორც ბიზნეს განვითარების ცენტრ „კავკასიის“ დირექტორმა **სერგი ბარამიძემ** აღნიშნა, ფორუმი სამ დღეს გაგრძელდება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდება. აქ სტუდენტებს და უმუშევარ ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ გაეცნონ დასაქმების კრიტერიუმებს, რომელიც კომპანიებსა და ორგანიზაციებში არსებობს, ასევე იმ საგანმანათლებლო და სატრენინგო პროგრამებს, რომლებსაც ისინი სთავაზობენ.

პირველი დღე დაეთმობა განათლების ფორუმს, სადაც სტუდენტები და სწავლის გაგრძელების მსურველები შეხვდებიან საერთაშორისო თუ ადგილობრივ საგანმანათლებლო და სატრენინგო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. გაეცნობიან მათ მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებს და მონაწილეობას მიიღებენ მათში.

მეორე დღეს მოწვეული ბიზნეს კომპანიის წარმომადგენლები შეხვდებიან დასაქმების მსურველ სტუდენტებს. მათ საშუალება ექნებათ, გაეცნონ ვაკანსიებს, შეავსონ ანკეტები და იპოვონ სამუშაო ადგილები. ასევე, შეეძლებათ გაიარონ რეგისტრაცია კავკასიის ბიზნესის და კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად.

მესამე დღეს კი – 2005 წლის ფორუმში მონაწილე და „ბიზნესის განვითარების და დასაქმების პილოტური პროგრამის“ ფარგლებში გადამზადებული საუკეთესო სტუდენტები საკუთარ პროექტებს წარადგენენ.

შარშან უამრავი კადრი შევთავაზეთ კომპანიებს, მაგარამ, მაშინ არ იყო საჭირო რაოდენობის ვაკანსია, წელს კი პირიქით, კადრებზე მოთხოვნა გაიზარდა, მაგრამ პროფესიონალი კადრი ცოტაა, – დასძინა ბარამიძემ, – ამიტომ ჩვენი სატრენინგო პროგრამით ახალგაზრდებს შეუძლიათ მომზადება, რის შემდგომ მიმართავენ კომპანიებს.

დღეს ამ ფორუმში მონაწილეობის მსურველი 5 ათასამდე სტუდენტია. ასაკი განსაზღვრული არ არის მასში. 45 წლის ადამიანებიც მონაწილეობენ, თუმცა 20-25-წლისანი ჭარბობენ. ტრენინგში უმუშევარი ახალგაზრდების გარდა, რომელთათვის სწავლება უფასოა, მონაწილეობენ ბიზნესმენებიც, თუმცა მათთვის სწავლება ფასიანია.

დღეისთვის რეალურად 50 ვაკანსია გვაქვს, რომელთაგან ძირითადი ბანკებიდანაა წარმოდგენილი. ოქტომბრის ბოლომდე ათს უკვე დავასაქმებთ, დანარჩენებს კი – წლის ბოლომდე.

ძალიან მალე ვაპირებთ ანალოგიური პროგრამა განვახორციელოთ რეგიონებშიც, თავდაპირველად ამას ქუთაისში და ბათუმში დავიწყებთ.

ასევე, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში რამდენიმე სტუდენტური ბიზნესის გახსნას ვგეგმავთ, რაც გულისხმობს სტუდენტურ კაფეს, მაღაზიას, ფითნეს-კლუბს და სტუდენტურ ჟურნალს.

ვფიქრობთ, მსგავსი ინიციატივა და ღონისძიებები ჩვენს სტუდენტებს მართლაც სასიკეთოდ წაადგებათ.

**ლელა მანაგლიშვილი**

**ამა წლის 25 ოქტომბერს გაიმართება სს „საქმეტალკომპანიის“ აქციონერთა საერთო კრება – 12 საათზე. მისამართი ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის №110.**

**დღის წესრიგი:**

1. საწარმოზე რიცხული მიწის საწესდებო კაპიტალში შეტანა;
2. საწარმოს რეორგანიზაცია ნატურით გაყოფის მეშვეობით;
3. სხვადასხვა.

# ჯორჯ ბუში: ერაყი 1968 წლის ვიეტნამს წააგავს

**ამერიკის „ეი-ბი-ბის“ ტელეარხისათვის მიცემულ ინტერვიუს დროს ბუშს დაუსვეს ასეთი კითხვა: ეთანხმება თუ არა იგი გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველის შეფასებას, რომელმაც ერაყში ამჟამად შექმნილი სიტუაცია შეადარა ვიეტნამს, როცა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულმა ფრონტმა სცადა ამერიკელთა ჯარების წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლა.**



იმის მიუხედავად, რომ თავდასხმა ვიეტნამელთათვის დიდი დანაკარგებით დასრულდა, სწორედ ამის შემდეგ დაიწყო შეერთებულ შტატებში ომის საწინააღმდეგო განწყობილების გაძლიერება.

„შესაძლოა, გაზეთის მიმომხილველი მართალიც იყოს, – უპასუხა ბუშმა ტელეჟურნალისტის კითხვას. – ამ ბოლო ხანებში ერაყში მნიშვნელოვნად იმატა ძალადობამ“. ბუშის თქმით, მოთარეშეები ცდილობენ მაქსიმალური ზიანი მიაყენონ მოკავშირეთა ჯარებს, რათა მათ აიძულონ ქვეყნის დატოვება.

„ერაყში კვლავ აქტიურია „ალ-ყაიდა“. მისი მოთარეშეები არა მარტო კლავენ ამერიკელ ჯარისკაცებს, არამედ თემთაშორისი შუღლის გაღვივებასაც ცდილობენ“, – აღნიშნა ბუშმა.

„მათ იმის იმედი აქვთ, რომ დათესავენ ისეთ ქაოსს, როცა ამერიკელებს უბრალოდ მობეზრდებათ ოპერაციის გაგრძელება ერაყში, ეს კი მთავრობას აიძულებს დაიწყოს ჯარების გამოყვანის დაწყება“, – თქვა შემდეგ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.

მოგვიანებით, თეთრი სახლის პრესმდივანმა დანა პერინომ აღნიშნა, რომ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველის კომენტარი ეხებოდა პროპაგანდისტულ ომს, რომელიც დაიწყო 1968 წლის დამდეგს, ვიეტნამელთა ძალების შეტევაზე გადმოსვლისთანავე.

„პრეზიდენტმა აღნიშნა ის, რაც წინათაც ითქვა – მტერი ცდილობს ჩვენი რწმენის შერყევას“, – ხაზგასმულია თეთრი სახლის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ინტერვიუს დროს ბუშს ასევე ჰკითხეს: ხომ არ ნიშნავს ერაყის მშვიდობიან მოსახლეობასა და კოალიციის ჯარებს შორის მსხვერპლთა მზარდი რიცხვი იმას, რომ სამხედრო კამპანიამ მარცხი იწვნია.

„ჩემი გაგებით, წარმატება ან დამარცხება აიხსნება იმით, შეძლებენ თუ არა ერაყელები თავიანთი თავის დაცვას. წარმატებას ან მარცხს განსაზღვრავს ის, ძალუძს თუ არა ამ ქვეყნის მთავრობას მიიღოს რთული გადაწყვეტილებები, რომლებიც აუცილებელია ერაყის გაერთიანებისთვის. წარმატება ან მარცხი განისაზღვრება იმით, იხსნება თუ არა ქვეყანაში ახალი საავადმყოფოები და სკოლები. წარმატება ან მარცხი ასევე განისაზღვრება იმითაც, ვითარდება თუ არა დემოკრატია ახლო აღმოსავლეთის ცენტრში“, – განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

მრავალმა მიმომხილველმა პრეზიდენტის გამოსვლა შეაფასა შეერთებული შტატების კონგრესის შუალედური არჩევნების წინ ამომრჩეველთა გადაბირების მცდელობად.

როგორც საზოგადოებრივი აზრის არაერთი გამოკითხვის მონაცემებიდან ჩანს, რესპუბლიკელები შეიძლება დამარცხდნენ ამ არჩევნებში, და ამის ერთ-ერთი მიზეზი გახდეს ერაყში მიმდინარე სამხედრო კამპანია.

# ბრიტანეთი ალ-ყაიდასთვის მთავარი სამიზნე გახდა

**„ალ-ყაიდას“ დაჯგუფება ახლა უფრო ორგანიზებულად მოქმედებს და მან თავდასხმებისთვის მთავარ ობიექტად დიდი ბრიტანეთი შეარჩია, აცნობეს „ბი-ბი-სის“ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის წარმომადგენლებმა.**

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, თუ უშიშროების ორგანოების წყაროებს ვერწმუნებით, მდგომარეობა ასეთი სერიოზული, წინათ არასდროს ყოფილა.

სადაზვერვო სამსახურების ვარაუდით, „ალ-ყაიდამ“ ბრიტანეთში შექმნა თავისი უჯრედების რთული და განშტოებული სტრუქტურა, იმის მსგავსი, რომელსაც იყენებდა თავის დროზე ირლანდიის რესპუბლიკური არმია.

ყოველ უჯრედს ჰყავს თავისი ლიდერი, რომელიც პასუხს აგებს შეიარაღებით მომარაგებისთვის, აგრეთვე მასში მოქმედებს რამდენიმე მოხალისე.

ყოველი უჯრედი ცალკეულ უბანზე მოქმედებს. რამდენიმე უჯრედს ჰყავს საერთო ხელმძღვანელი, რომელიც წარმართავს მათ საქმიანობას. მოთარეშეების მომზადება ხდება დიდ ბრიტანეთსა და პაკისტანში.

გაზეთ „გარდიანს“ მოჰყავს ერთ-ერთი წყაროს გამონათქვამი, რომელიც განმარტავს, თუ რატომ ითვლება, რომ ბრიტანეთის ტერიტორიაზე ძირგამომთხრელი აქციების განხორციელება უფრო ადვილია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. როგორც სტატიის ავტორები წერენ, საქმე ის არის, რომ ბრიტანეთს დიდი ხნის კავშირურთიერთობა აქვს პაკისტანთან, და ათი ათასობით ბრიტანელი ყოველწლიურად ჩადის ამ ქვეყანაში.

სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლებს ძალზე უჭირთ „თავიანთი ხალხის“ დანერგვა პაკისტანში მოქმედ მოთარეშეთა მოსამზადებელ ბანაკებში.

„ამ სამსახურებს მიაჩნიათ, რომ გასული წლის 7 ივლისს ლონდონის ტრანსპორტში მომხდარი აფეთქებები მხოლოდ დასაწყისია“, – მოჰყავს „გარდიანს“ ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელის გამონათქვამი.

როგორც „ალ-ყაიდას“ მიაჩნია, ბრიტანეთში არის იმის დიდი ალბათობა, რომ ტერაქტებს მოჰყვეს უამრავი მსხვერპლი, რაც მთავრობას ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს“, – წერს გაზეთი.


# აუქციონი

## (დიღმის ტრასის პირზე მდებარე მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით)

მცხეთის რაიონის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს აუქციონს თბილისის შემოსასვლელში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრის მიმდებარე ტერიტორიიდან, უშუალოდ საპატრულო და დაცვის პოლიციათა დეპარტამენტების მიმდებარედ არსებულ ნაკვეთებზე (სულ 17 ნაკვეთი)

1) 1500მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721434242) (საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წინ)

2) 1282მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721434015) (რესტორან ,,მონოპოლი“-ს მიმდებარედ)

(1 მ² – ღირებულება 85 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში)

3) 1900 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721434255)
4) 2700 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721434208)
5) 1799 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721434205)
6) 2247 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721434203)

(1 მ² – ღირებულება 65 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში)

7) 3177 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721432303)
8) 3200 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721432304)
9) 1186 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721434183)
10) 1716 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721434184)
11) 7774 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721435161)
12) 5127 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721435175)
13) 5094 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721435181)

(1მ² – ღირებულება 45 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში)

14) 0.22 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721435184)

(1 მ² – ღირებულება 45 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში)

15) 0.32 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721435134)
16) 0.32 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721435135)

(1 მ² – ღირებულება 35 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში).

აუქციონის „ბე“ შეადგენს გასაყიდი ფასის 10 %-ს. მყიდველის მიერ ნაკვეთის გამოსასყიდი თანხის გარდა გადახდილი უნდა იქნეს ობიექტის გასაყიდად მომზადებისათვის გაწეული ხარჯები.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის 12 საათზე, აუქციონი ჩატარდება განცხადების მიღებისათვის განსაზღვრული ვადის დამთავრების მეორე დღის 11 საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ნაკვეთს.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის რაიონის გამგეობა ანგ. № 33030001, სახალხო ბანკის კოდი 220101415, საიდენტიფიკაციო კოდი № 236033234. კომისიის მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№ 73. ტელ 8(27-32) 27-27: 893 45-14-44

**მცხეთის რაიონის გამგეობა.**
**„არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის მუდმივმოქმედი რაიონული კომისია“.**

◎ მასპინძლობს საქართველო

# ჰანს შაიბი: ჩვენი მოკრძალებული სალამი ფიროსმანს

**ფიროსმანის „ოცნების მაგიდას“ მრავალი სტუმარი ჰყავს. პროექტი „შეხვედრა ფიროსმანთან“, რომელიც გერმანელ ხელოვანთა თაოსნობითა და ქართველ ხელოვანთა და პარტნიორთა ერთობლივი ჩანაფიქრია და ითვალისწინებს ფიროსმანის შემოქმედების პოპულარიზაციას საქართველოს ფარგლებს გარეთ, დიალოგს ქართველ და უცხოელ ხელოვანთა შორის, ქართული კულტურისა და თანამედროვე ხელოვნების ინტეგრაციას მსოფლიო სახელოვნებო სივრცეში, უკვე დაიწყო. „ფიროსმანის მაგიდის“ სტუმრები არიან ორმოცამდე ხელოვანი – მხატვრები, მოქანდაკეები, ფოტოგრაფები, გალერისტები, მწერლები, რეჟისორები, მეწარმეები და უბრალოდ ფიროსმანის ხელოვნების თაყვანისმცემლები გერმანიიდან, იტალიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რუსეთიდან...**

ათდღიანი დატვირთული და მრავალფეროვანი პროგრამით გათვალისწინებული პირველი შეხვედრები უკვე გაიმართა. სტუმრებმა პირველივე დღეს მოინახულეს ფიროსმანის სახლ-მუზეუმი თბილისში, ეწვივნენ საქართველოს ისტორიის მუზეუმს, საღამო ხანს კი შპს ღვინის ლაბორატორიას სტუმრობდნენ. აქ პროექტში მონაწილე ხელოვანთა გაცნობა და ბრიფინგი გაიმართა და საამისოდ ღვინის ლაბორატორია არცთუ შემთხვევით შეირჩა. პროექტის იდეა ემყარება პრინციპს „ხელოვნება არა ტვირთი, არამედ ხიდია მეწარმეებისთვის“. საქართველოს ამჟამინდელი სიტუაციიდან გამომდინარე, პროექტის ქართველი პარტნიორები იმედოვნებენ, რომ ამით მოკრძალებულ წვლილს შეიტანენ ქართული ბრენდების – ღვინისა და მინერალური წყლების ქვეყნის გარეთ მხარდაჭერასა და პოპულარიზაციაში.

ვიდრე სტუმრები ლაბორატორიის მიერ შეთავაზებულ ქართულ ღვინოებს დააგემოვნებდნენ, პროექტის ავტორებმა და ხელმძღვანელებმა გოჩა ღულელაურმა და გერმანელმა მოქანდაკემ ჰანს შაიბმა ჟურნალისტებსა და მასპინძლებს წარუდგინეს სტუმრები.



უშუალო ატმოსფერომ სტუმარ-მასპინძლებს სასიამოვნო განწყობილება შეუქმნა. სტუმრები ხალისით საუბრობდნენ ამგვარი შეხვედრების მნიშვნელობაზე, უბრალოდ ნიკალაზე.

**ჰანს შაიბი: ეს იდეა ორი წლის წინათ მირზაანში დაიბადა და გადავწყვიტეთ, სურვილი საქმედ გვექცია. ჯერ კიდევ ოცნება და შორეული მიზანია ის, რომ ხელოვნება და ცხოვრება განუყოფელი იყოს, რომ ხელოვნება ცხოვრების ჭირნახულს წარმოადგენდეს.**

პოეზია, სიმღერები და სურათები არა მხოლოდ დეკორაციაა, არამედ საწყისია და აღმაფრენა მუშაობისას მიწაზე ოფისებსა და დაწესებულებებში, სოფლის ნობათით ვაჭრობისას თუ ხილით პირის ჩატკბარუნებისას.

სწორედ აქედან გაჩნდა ქართველი ხელოვანების მიერ ფიროსმანის საპატივცემულოდ დღესასწაულის მოწყობის იდეა. ამისათვის გერმანელმა მხატვრებმა თან ჩამოიტანეს საკუთარი შემოქმედება, როგორც მოკრძალებული სალამი ფიროსმანთან.

„ფიროსმანის მაგიდასთან“ არა მხოლოდ ხელოვანები შეხვდებიან ერთმანეთს, ქვეყნის კულტურული თუ ეკონომიკური ურთიერთობების გასაღრმავებლად ამ ღონისძიებაში შესაძლებელია ჩაერთოს ყოველი დაინტერესებული პირი.

ეს პროექტი პირველად ეწყობა და კარგი იქნება თუ ტრადიციად დამკვიდრდება.

**ფერმწერი ინგე პ. შმიდტი: ჩემთვის არსებითია არა პორტრეტული მახასიათებლები, არამედ სულიერი მდგომარეობების გადმოცემა. ფიროსმანს არასოდეს შევხვედრივარ, რეალურად არასოდეს, თუმცა ვინ იცის? მისი ცხოვრება, მისი გრძნობები და მისი დამოკიდებულება ჩემთვის ძალიან ნაცნობია და ახლობელი.**

ღვინის ლაბორატორიამ თავი წარმოაჩინა და უხვად გაუმასპინძლდა სტუმრებს, როგორც ლაბორატორიის ხელმძღვანელმა ნუგზარ ქსოვრელმა თქვა, აქ წარმოდგენილი იყო ლაბორატორიის პარტნიორი ღვინის ქარხნების პროდუქცია. სტუმრებმა დააგემოვნეს „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაული“, „წინანდალი“ და „ვაზის ცრემლები“, „მუკუზანი“ და „შუმი“, „ტვიში“ და „ასკანელი“, კონიაკი „გრემი“ და „ასკანური ჭაჭა“...

**გუშინ „ფიროსმანის მაგიდის“ სტუმრები კახეთში გაემგზავრნენ. ყვარელში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, სამონასტრო კომპლექსი „ნეკრესი“ და ძველი სატახტო ქალაქი „გრემი“ მოინახულეს. მოგზაურობა კახეთში გრძელდება...**

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**სურათზე: სტუმარ-მასპინძლები ღვინის ლაბორატორიაში. მალხაზ მაჭავარიანის ფოტო**




◎ ეს იყო, იყო...

# ღმერთი მაღლიდან იყურება

**ახლახან პრესაში პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავ მასალებს რომ გავეცანი, ერთი საინტერესო ფაქტი გამახსენდა, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს მის კარგ ადამიანობასა და მამულიშვილობაზე.**



თუ არ ვცდები, 1974 წლის ადრე გაზაფხული იდგა. მაშინ, ჯანსუღ ჩარკვიანი ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი იყო. ამ მეტად პოპულარულ ჟურნალთან, მისი რედკოლეგიის წევრებთან ახლო ურთიერთობა მქონდა.

ერთხელ, ესტონეთიდან კოლეგა ისტორიკოსმა გამომიგზავნა ტალინში გამოცემული სერგი ისაკოვის წიგნი „Сквозь годы и расстояния“. წიგნში ბევრი საინტერესო მასალაა გამოქვეყნებული იმ ქართველი სტუდენტების შესახებ, რომლებსაც თავის დროზე უსწავლიათ იურიევის (ახლანდელი ტარტუს) უნივერსიტეტში. მათ შორის არის ცნობილი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე. წიგნში ავტორს დამოწმებული აქვს 1963 წელს შტუტგარდში გამოცემული „მსოფლიო ლიტერატურის მცირე ლექსიკონი“, რომელშიც ქართველი მწერალი მსოფლიო კლასიკოსად არის მოხსენიებული. იმ დროს ტაბუდადებულ გრიგოლ რობაქიძის წიგნში ასე მოხსენიება, მართლაც საკვირველი იყო. ამიტომ გადავწყვიტე „ცისკრის“ რედაქციაში მისვლა და ამ საინტერესო წიგნის მათთვის გაცნობა.

ჯანსუღ ჩარკვიანმა წიგნის გადათვალიერების შემდეგ თავისთან იხმო ოტია პაჭკორია, გივი ძნელაძე, ზაურ ბოლქვაძე და რედაქციის სტუმარი, ცნობილი არქეოლოგი ჯურხა ნადირაძე. ყველა კმაყოფილი და თან გაოცებული დარჩა. ჯანსუღმა სეფე სიტყვა ისროლა: ამ საქმეს ლაპარაკი კი არა, ჩვენებური აღნიშვნა დაამშვენებსო. მალე საბურთალოზე, ზურაბ იშხნელის მარანში ამოვყავით თავი. მშვენიერი სუფრა გაიშალა. ჯანსუღ ჩარკვიანი მეტად ლაზათიანად და მოხდენილად თამადობდა. გრიგოლ რობაქიძის სადღეგრძელო დიდხანს გაგრძელდა. ყველა თავისებურად აფასებდა მას. არანაკლები ყურადღება მიიქცია დები იშხნელების სადღეგრძელომ. დასანანი მხოლოდ ის არის, იმ სიტყვების დაფიქსირება რომ არ მოხერხდა. იმ დღეებში ქალაქში თითქმის ყველა ამ თემაზე ლაპარაკობდა. სამწუხაროდ, ეს სიამოვნება საზოგადოებას დიდხანს არ შერჩა. მავანისა და მავანის წყალობით (პიროვნებას შეგნებულად არ ვასახელებ), ის წიგნი საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს გააცნეს. რა თქმა უნდა, მან დრო იხელთა და სულ მალე, რესპუბლიკის აქტივის თათბირზე, გრიგოლ რობაქიძეს ისეთი დღე დააყენა, რომ მის რეაბილიტაციაზე საერთოდ ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. იმ დღეებში ჯურხა ნადირაძე სინანულით იტყვის, ტალინიდან ის წიგნი რომ არ გამოეგზავნათ, იქნებ ეს უბედურება არ მომხდარიყოო.

დიდი ხნის შემდეგ, სამართალმა მაინც პური ჭამა და გრიგოლ რობაქიძე სამუდამოდ დაუბრუნდა მშობლიურ ერს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. განვლილ პერიოდში ედუარდ შევარდნაძე ერთგულად ემსახურა რუსეთს, ამერიკას და მანამ არ მოისვენა, სანამ დასავლეთს საბჭოთა კავშირი არ დაანგრევინა. ბოლოს საქართველოსაც „მოხედა“ და ისეთ შავ დღეში ჩააყენა, როგორშიც ის არასდროს ყოფილა და როდის მოახერხებს ფეხზე წამოდგომას, ამას ვერც ერთი წინასწარმეტყველი ვერ იტყვის.

ამჟამად ედუარდ შევარდნაძე კრწანისის რეზიდენციაშია მოკალათებული და მემუარებს წერს. თუ ის მართალი კაცი ბრძანდება, რატომ არ აღიარებს მის დანაშაულს გრიგოლ რობაქიძის მიმართ, ან თვითმფრინავის გატაცებასთან დაკავშირებით უმოწყალოდ დახვრეტილი ქართველი ახალგაზრდების მიმართ, პეტრე გელბახიანის სამარცხვინო სასამართლოს მიმართ, თბილისელებისთვის ცხვარიჭამიის ნაკვეთების ჩამორთმევის მიმართ და სხვა. მაგრამ, როგორც იტყვიან, ღმერთი მაღლიდან იყურება და იმედია, არ გაწირავს ბევრ ისტორიულ ქარცეცხლში გამოვლილ ქართველ ერს და სულ მალე გამოიყვანს ამ გასაჭირიდან.

**დურმიშხან ცინცაძე**

◉ ჩემპიონთა ლიგა

# უმწეობის აპოთეოზი

**კვირას ესპანეთში სუპერკლასიკოა დანიშნული: „რეალი“ –„ბარსელონა“! ეტყობა, კატალონიელების გონებით უკვე მადრიდში არიან. სხვაგვარად ძნელია ახსნა ის უსუსურობა, როგორადაც ისინი ლონდონის „სტემფორდ ბრიჯის“ სტადიონზე „ჩელსისთან“ პრინციპულ დუელში გამოიყურებოდნენ.**



„არისტოკრატები,“ პირიქით, ჟოზე მოურინიოს დაგეგმულ ტაქტიკურ ხაფანგში ზედიზედ აბამდნენ მეტოქის მრისხანე მოიერიშეებს რონალდინიოს თამადობით, რომელიც პირწმინდად დაჯაბნა ჰოლანდიელმა მეურვე ბულარუზმა, თამაშიდან „ყოჩის“ გამოთიშვამ კი მთელ გუნდზე კატასტროფულად იმოქმედა. სტუმრები მადლირნი უნდა იყვნენ, მხოლოდ მინიმალური ანგარიშით რომ დამარცხდნენ – 0:1 (მართლაც დიდებული გოლი დროგბამ გაიტანა) – რამდენიმე ხელსაყრელი ეპიზოდი შევჩენკომ, ესიენმა და რობენმა გაფლანგეს. რაც შეეხება ტრავმირებული მეკარეების ჩეხისა და კუდიჩინის დუბლიორ ილარიოს, იგი თავიდან ბოლომდე საიმედოდ მოქმედებდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რაიმე სერიოზული საფრთხე მისთვის არც შეუქმნიათ.

**დანარჩენი შედეგები:**

*„ა“ ჯგუფი:* **„ვერდერი“-„ლევსკი“ 2:0.**

**„ჩელსი“ – 9, „ბარსელონა“, „ვერდერი“ – 4-4, „ლევსკი“ – 0 ქულა.**

*31 ოქტომბერს ითამაშებენ:* **„ბარსელონა“-„ჩელსი“, „ლევსკი“-„ვერდერი“.**

*„ბ“ ჯგუფი:* **„ინტერი“-„სპარტაკი“ 2:1, „სპორტინგი“-„ბაიერნი“ 0:1.**

**„ბაიერნი„ – 9, „სპორტინგი“ – 4, „ინტერი“ – 3, „სპარტაკი„ – 1 ქულა.**

*31 ოქტომბერს ითამაშებენ:* **„ბაიერნი“-„სპორტინგი“, „სპარტაკი“-„ინტერი“.**

*„გ“ ჯგუფი:* **„ბორდო“-„ლივერპული“ 0:1, „გალათასარაი“-„ეინდჰოვენი“ 1:2.**

**„ლივერპული“, „ეინდჰოვენი“ – 7-7, „გალათასარაი“, „ბორდო“ – 1-1 ქულა.**

*31 ოქტომბერს ითამაშებენ:* **„ლივერპული“-„ბორდო“, „ეინდჰოვენი“-„გალათასარაი“.**

*„დ“ ჯგუფი.* **„ვალენსია“-„შახტიორი“ 2:0, „ოლიმპიაკოსი“-„რომა“ 0:1.**

**„ვალენსია“–9, „რომა“–6, „ოლიმპიაკოსი“, „შახტიორი“ – 1-1 ქულა.**

*31 ოქტომბერს ითამაშებენ:* **„შახტიორი“-„ვალენსია“, „რომა“-„ოლიმპიაკოსი“.**

◉ ძიუდო

# ბუდაპეშტში – „იავარას“ იავარსაქმნელად

**ევროპის ძიუდოისტთა საკლუბო თასის ფინალი 21 ოქტომბერს თბილისის სპორტის სასახლეში უნდა გამართულიყო, მაგრამ საქართველო-რუსეთს შორის გამწვავებული პოლიტიკური ვითარების გამო, ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა იმდენი მოახერხეს, რომ ტურნირი ბუდაპეშტში გადაიტანეს. საქმე ის არის, რომ ნახევარფინალში „საგარეჯოს“ მეტოქე სანკტ-პეტერბურგის კლუბი „იავარა ნევა“ გახლავთ, რომლის თავკაცი თვით ვლადიმირ პუტინი შეჯიბრებაზე საპატიო სტუმრად მიიწვიეს.**

ნევისპირელებს თბილისში ასპარეზობისას, ფაქტობრივად, ფინალში გასვლის იმედი გადაწურული ექნებოდათ. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასის გუნდურ გათამაშებაზე ქართველმა ფალავნებმა გადამწყვეტ შეხვედრაში რუსებს აჯობეს 4:3. ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები საკლუბო დონეზეც მარცხს ვერ აიტანდნენ და ყველაფერი გააკეთეს ასპარეზობის მადიართა ქვეყანაში გასამართავად. არბიტრებს სინდისის ქენჯნა თუ შეაწუხებთ, არა გვგონია, ტურნირის მისამართის შეცვლამ „იავარა ნევას“ უშველოს.

„საგარეჯო“ ბუდაპეშტში უძლიერესი შემადგენლობით გაემგზავრა: 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი **ნესტორ ხერგიანი** და ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **არმენ ნაზარიანი** (სომხეთიძ იასპარეზებენ. 66 კილოში საქართველოს სპორტულ ღირსებას ირანელი ორგზის მსოფლიო ჩემპიონი **არაშ მირესმაილი** დაიცავს.

ევროპის ჩემპიონატის ორგზის პრიზიორმა დავით ქევხიშვილმა (73 კგძ ვარჯიშზე მენისკი დაიზიანა და ოპერაციის გასაკეთებლად გერმანიას გაემგზავრა. მის ნაცვლად ტატამზე კონტინენტის პირველობის წლევანდელი გამარჯვებული **ზაზა კედელაშვილი** გამოვა. 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ათენის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **რომან გონტიუკი** (უკრაინაძ და **გრიგოლ მამრიკიშვილი** იჭიდავებენ. კვლავ ვიხილავთ სარბიელზე ბოლო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს – **ზურაბ ზვიადაურსა** და **ილიას ილიადისს** (ჯარჯი ზვიადაურსძ. ზურაბი და მისი დუბლიორი ირაკლი ცირეკიძე 90 კილოში ეცდებიან გუნდისთვის ქულის მოტანას, ხოლო ჯარჯი **ლომერ ჟორჟოლიანთან** ერთად 100 კილოში გამოცდის ძალებს. მძიმე წონაში სამი წარმომადგენელი გვეყოლება – მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორები – **ლაშა გუჯეჯიანი** და უზბეკი **აბდულო ტანგრიევი,** ევროპის წლევანდელი პირველობის ბრინჯაოს მედალოსანი **ზვიად ხანჯალიაშვილი.**

როგორც ვხედავთ, „საგარეჯოს“ ტიტულებით დახუნძლული ფალავნები არ აკლია, თუმცა, ამ მხრივ, ჩვენგან იავარსაქმნელი „ნევაც“ არ არის ხალვათად. კარგი მოჭიდავეებითაა დაკომპლექტებული გერმანიის „აბენსბერგი“ და თურქეთის „იზმირ ბელედიე“, რომლებიც მეორე ნახევარფინალურ წყვილში გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას.



უნგრეთში გამგზავრების წინ „საგარეჯოს“ თავკაცმა და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ ქართული მხარე ევროპის კავშირს თხოვნით მიმართავს, რათა ნოემბრის მიწურულს მოსკოვში გასამართი ოცდასამწლამდელთა კონტინენტის პირველობა სხვაგან გადაიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს გუნდს რუსეთის დედაქალაქში არ გაუშვებენ. როგორც ვხედავთ, პოლიტიკური დაპირისპირება სპორტულ ფონზეც გრძელდება.

შეგახსენებთ, რომ ხვალ ბუდაპეშტიდან რეპორტაჟებს საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგთავაზებთ.

**ლექსო ცინცაძე**

◉ სამბო

# მილიციელებმაც ვერ შეაშინეს



**უკვე გაუწყეთ, რომ მოსკოვში ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა მსოფლიო პირველობაზე ჩვენმა ბიჭებმა ორ-ორი ოქრო-ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. სხვა შეჯიბრებებიდან ქართველი მოჭიდავეები უფრო ხელდამშვენებულნი დაბრუნებულან, მაგრამ რაც მათ რუსეთის დედაქალაქში გააკეთეს, ისიც გმირობის ტოლფასია.**

მოგეხსენებათ, მსოფლიო პირველობაზე გასამგზავრებელი ვიზების მიღება მხოლოდ სეოკის პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის საქმეში აქტიური ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ერევნიდან მოსკოვში ჩაფრენილი დელეგაციის წევრები მასპინძლებმა ღამის 3 საათამდე აეროპორტში ალოდინეს, მეორე დღეს კი ქუჩაში სავარჯიშოდ გასული მომავალი ჩემპიონები – **გელა სანიკიძე** და **ნიკოლოზ კუცია** მილიციელებმა უმიზეზოდ დააკავეს და განყოფილებიდან კარგა ხნის შემდეგ გამოუშვეს. ფსიქოლოგიური წნეხი ჩვენმა, ჯერ კიდევ დაუღვინებელმა, ბიჭებმა არად ჩააგდეს და მასპინძლებზე შური ხალიჩაზე იძიეს – შეჯიბრების დაბოღმილ რუს ორგანიზატორებს საქართველოს ჰიმნი დარბაზში ორჯერ ააჟღერებინეს.

საგულისხმოა ისიც, რომ ახალგაზრდა სამბისტებს მოსკოვში არ ახლდა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ იაძე. იგი მთავარ გუნდთან ერთად მონდომებით ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელსაც ნოემბრის დასაწყისში სოფია უმასპინძლებს.

◉ ფუტზალი

# „ქარიშხალა“ უმასპინძლებს



**ჩეხეთში ფუტზალის ევროპული საკლუბო თასის გათამაშების პირველი ჯგუფური ეტაპი გაიმართა. თბილისის „იბერიამ“, სამწუხაროდ ეს ბარიერი ვერ გადალახა. ქართველი ფეხბურთელები ჯერ ადგილობრივ „ქისტებნიკთან“ დამარცხდნენ 2:3, მეორე ორთაბრძოლა ბელარუსის „დოროჟნიკთან“ დათმეს 6:9 და მხოლოდ ლიტვის „ნაფტას“ სძლიეს 2:1.**

გაისად იანვარში უკვე საქართველოს ნაკრები იასპარეზებს ფუტზალელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში. ამ შეჯიბრებისთვის მზადების მიზნით, ჩვენი გუნდი 24 და 25 ოქტომბერს საფრანგეთის ნაკრებთან ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს „ქარიშხალაში“.

◉ ქალთა ფეხბურთი

# დებიუტისთვის ქულაც საქმეა

**მაკედონიაში დამთავრდა 19 წლის ფეხბურთელ ქალთა ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფური რაუნდი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად გერმანიის, ავსტრიისა და საქართველოს გუნდებიც მონაწილეობდნენ. უკვე გაუწყეთ, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა დიდი ანგარიშით წააგეს გერმანელებთან და ავსტრიელებთან, მაკედონიელებს კი დაუზავდნენ (2:2ძ და ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირში პირველი ქულა მოიპოვეს.**

საქართველოს ფეხბურთელ ქალებს ახლა უფრო პასუხსაგები შეჯიბრება ელით: 18-დან 23 ნოემბრის ჩათვლით ეროვნულ ნაკრებებს შორის ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართება. მასში დაბალი რეიტინგის მქონე ქვეყნების წარმომადგენლები იასპარეზებენ. ასეთი კი საქართველოს ჩათვლით 20 გუნდია. წილისყრით ისინი 5 ჯგუფში გადანაწილდნენ: **A ჯგუფი: ხორვატეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, საქართველო, თურქეთი; B ჯგუფი: ისრაელი, ბოსნია, ლატვია, სომხეთი; C ჯგუფი: სლოვაკეთი, მალტა, ლუქსემბურგი, ლიტვა; D ჯგუფი: რუმინეთი, ესტონეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი; E ჯგუფი: უელსი, ყაზახეთი, ფარერები, მაკედონია.** შესარჩევ ტურნირებს, შესაბამისად, თურქეთი, ბოსნია, ლუქსემბურგი, რუმინეთი და მაკედონია უმასპინძლებენ. პირველ ადგილებზე გასული გუნდები ბრძოლას მომდევნო ეტაპზე განაგრძობენ.

◉ ორბიტაზე

## მუსულმანები აპროტესტებენ

**დიდი ბრიტანეთის მუსულმანური ორგანიზაცია წინააღმდეგია 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ვადებისა, რაც ლონდონში 27 ივლისიდან 12 აგვისტომდე უნდა გაიმართოს.**

საქმე ის არის, რომ 21 ივლისიდან 20 აგვისტომდე გრძელდება მუსლიმანთა წმინდა თვე – რამადანი. ამის შესაბამისად, ისლამური ქვეყნების მორწმუნე სპორტსმენები ძნელი არჩევანის წინაშე აღმოჩნდებიან: ან უნდა დაარღვიონ თავიანთი რელიგიის ტრადიციები, ანდა იასპარეზონ სხვა ათლეტებთან შედარებით არათანაბარ პირობებში – რამადანის დღეებში მორწმუნეებმა ხომ აუცილებლად უნდა იმარხულონ. მშიერ კუჭზე კი, როგორც ცნობილია, მსოფლიო რეკორდები არ მყარდება.

„ხომ არ ტარდება ზამთრის ოლიმპიური თამაშები შობის დღეებში“, – ასაბუთებენ თავიანთ მოთხოვნას შეერთებული სამეფოს მუსულმანთა ლიდერები. ამ მოსაზრებას იზიარებს თურქეთის ოლიმპიური კომიტეტის თავკაცი ტოგაი აბაიალთი.

## ქორწილში არ დაგვპატიჟებენ?!

**როგორც ამბობენ, საფეხბურთო იტალია მალე მორიგ ქორწილს მოელის. ყოველ შემთხვევაში, ასეთი სიუჟეტის განხორციელება უნდათ „ატალანტის“ თავდამსხმელს დავიდ ბომბარდინის და ლამაზმან მოდელს ჯორჯია პალმასს, რათა თავიანთი სამწლიანი ურთიერთობა დააკანონონ.**

2003 წელში გაცნობილი ახალგაზრდები ხომ ნახევარი წლის შემდეგ დასახლდნენ ბერგამოს წყნარ გარეუბანში.

1982 წლის 5 მარტს სარდინიაში დაბადებულმა ჯორჯიამ ძველი და ახალი საუკუნის გასაყარზე ლონდონში გამართული მსოფლიო სილამაზის კონკურსში მიიღო მონაწილეობა. თუმცა პირველი ადგილი და დედოფლის გვირგვინი უმშვენიერეს ინდოელ პრიანკა ჩოპრეს დაუთმო, თავად კი მეორე-მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

ამ გრანდიოზული გამარჯვების შემდეგ 18 წლის ქალიშვილი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფოტომოდელი გახდა, უარს რომ არ ამბობდა პიკანტური ფოტო-სერიებზეც, ზოგჯერ თავადაც თხოულობდა შიშვლად გადაღებას. თუმცა როგორ იქნება ოფიციალურად გათხოვების შემდეგ, დრო გვიჩვენებს.



ფსიქოლოგის აზრები

# მამაკაცები ქალებზე ჭკვიანები არიან

**ბრიტანეთში დაბადებული მკვლევარი ჯონ ფილიპ რაშტონი, რომელმაც ადრე იმით მოახდინა ფუროში, რომ განაცხადა ინტელექტი რასაზეა დამოკიდებულიო, ამჯერად ამბობს, რომ მისი ახალი აღმოჩენები საშუალებას იძლევა აიხსნას, თუ რატომ აღწევს კარიერის მწვერვალს მხოლოდ რამდენიმე ქალი. რაშტონი აცხადებს, რომ როგორც ჩანს, „მინის ჭერის“ ფენომენი ქალების უფრო დაბალ ინტელექტთან არის დაკავშირებული და არა დისკრიმინაციით ან შესაძლებლობის არარსებობით:**



დასავლეთ ონტარიოს უნივერსიტეტის ფსიქოლოგი ასეთ დასკვნამდე იმ საუნივერსიტეტო ტესტების შედეგების შესწავლის შემდეგ მივიდა, რომლებიც 17-18 წლის ორივე სქესის 100 ათას სტუდენტს ჩაუტარდა.

ისეთი ფაქტორების ანალიზმა, როგორებიცაა რთული კონცეფციის სწრაფად ათვისების უნარი, ვერბალური არგუმენტაციის ჩვევები და კრეატულობა – ინტელექტის საკვანძო შემადგენელი ნაწილები აჩვენა, რომ ჭაბუკებს საშუალოდ 3,63 პუნქტით უფრო მაღალი IQ აქვთ, ვიდრე ქალიშვილებს. ადამიანის საშუალო სტატისტიკური IQ დაახლოებით 100 ქულას შეადგენს.

ეს აღმოჩენები გადატრიალებით ემუქრება შეხედულებათა იმ საუკუნოვან სისტემას, რომლის მიხედვითაც ქალებსა და მამაკაცებს დაახლოებით ერთნაირი გონებრივი შესაძლებლობები აქვთ. ეს იმ მტკიცებულებებსაც ეწინააღმდეგება, რომელთა მიხედვითაც სკოლაში გოგონები ბიჭებზე უკეთესად აბარებენ გამოცდებს. პროფესორი რაშტონი, რომელიც ბორნმუტში დაიბადა და სოციალური ფსიქოლოგიის დოქტორის ხარისხი ლონდონის ეკონომიკის სკოლაში მიიღო, ირწმუნება, რომ სკოლის კლასებში გოგონები მხოლოდ იმიტომ ჩრდილავენ ბიჭებს, რომ უფრო სწრაფად ხდებიან ზრდასრულები. თუმცა მთლიანობაში ექსპერტები ეთანხმებიან იმას, რომ ქალები და მამაკაცები სხვადასხვანაირად აზროვნებენ და „სივრცობრივი უნარების“ ტესტებში მამაკაცებს უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ, ქალებს კი – ვერბალური შესაძლებლობების ტესტებში, ფიქრობდნენ, რომ ეს სხვაობები წონასწორდება და მთლიანობაში ინტელექტში განსხვავება არ არსებობს.

პროფესორ რაშტონს მიაჩნია, რომ სხვაობა პირდაპირ არის დაკავშირებული ტვინის ზომასთან: რიგი სხვა გამოკვლევებისა ადასტურებს, რომ მამაკაცის ტვინი ოდნავ მეტია ქალისაზე. **„ჩვენ ვიცით, რომ მამაკაცებს უფრო დიდი ტვინი აქვთ, მაშინაც კი თუ მხედველობაში მივიღებთ შეფარდებას დიდ ტანთან,** – ამბობს მკვლევარი. – **ეს იმას ნიშნავს, რომ მათ უფრო მეტი ნეირონები აქვთ. მთავარია ის, თუ რას აკეთებენ ეს ნეირონები მამაკაცის ორგანიზმში, ალბათ, ინფორმაციის დამუშავებაში ანიჭებენ უპირატესობას“.**

პროფესორი რაშტონი ვარაუდობს, რომ ამ სხვაობას ჯერ კიდევ ქვის ხანაში ჩაეყარა საფუძველი, როდესაც იმისათვის, რომ თავისი შთამომავლობისთვის საუკეთესო გენები გადაეცათ, ქალები თავისზე ჭკვიან მამაკაცებს ეძებდნენ. **„ზოგი ფიქრობს, რომ ეს ევოლუციის შედეგია, რადგან ქალები თავისზე ჭკვიან მამაკაცებს ირჩევენ ქმრებად,** – ამბობს იგი. – **ისევე როგორც უპირატესობას თავისზე მაღალ მამაკაცებს ანიჭებენ, ისინი ისეთ მამაკაცებს ამჯობინებენ, რომლებსაც მათზე მაღალი IQ-ს დონე აქვთ“.**



კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ შეიძლება პროფესორ რაშტონის დასკვნები არაზუსტი იყოს იმის გამო, რომ მან ქალების ტესტი უფრო მეტი გააანალიზა, ვიდრე მამაკაცების. მაგრამ პროფესორი, რომელმაც ოთხი წლის წინათ მეცნიერული სკანდალი გამოიწვია იმის განცხადებით, რომ რასა ინტელექტსა და ქცევაზე მოქმედებს და ამასთან შავკანიანები უფრო მეტი ალბათობით იქნებიან გარეულები დანაშაულებრივ საქმიანობაში, აზიელებში კი უფრო ხშირად გვხვდება მაღალი IQ, თავისი შედეგების სიზუსტეში დარწმუნებულია.

**„ეს არაპოპულარული დასკვნებია,** – ამბობს იგი. – **ადამიანებს არ უნდა ეშინოდეთ ურთიერთსაწინააღმდეგო საკითხების შესწავლა. ჩვენ გვაქვს სიმართლის ძიების უფლება, უბრალოდ ფაქტები უნდა შევისწავლოთ“.**

რაშტონის შრომა ადასტურებს ბრიტანულ გამოკვლევებს, რომლებმაც აჩვენა, რომ მამაკაცებს უფრო დიდი ტვინი და უფრო მაღალი IQ აქვთ, ვიდრე ქალებს, რაც ხსნის თუ რატომ არიან უფრო ხშირად გროსმეისტერები და გენიოსები მამაკაცები. მაგრამ ქალებმა გული არ უნდა გაიტეხონ; მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ თუ ბევრს იმუშავებენ, ქალებს შეუძლიათ ასეთივე შედეგებს მიაღწიონ.

ვარაუდი

# მომავლის ადამიანი

**სამი ათასი წლისათვის ადამიანის საშუალო სიმაღლე ორ მეტრს მიაღწევს, მისი კანი მოყავისფრო იქნება, ხოლო სიცოცხლის ხანგრძლივობა – 120 წელი. ამგვარ დასკვნამდე მივიდნენ ლონდონის ეკონომიკის სკოლის დარვინის კვლევითი ცენტრის თანამშრომლები. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ დროისათვის ტექნოლოგიური სრულყოფის გამო ადამიანის სხეულს დიდი დატვირთვა არ ექნება და იგი დღევანდელ ადამიანთან შედარებით ფიზიკურად ძალზე სუსტი იქნება.**

პროგნოზის მიხედვით კაცობრიობა თავისი განვითარების პიკს სწორედ 3000 წლისათვის მიაღწევს. დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანის კანის ფერი ერთნაირი იქნება და რასებად დაყოფა წარსულს ჩაბარდება.

ტექნოლოგიური ბუმის წყალობით მამაკაცებს ექნებათ სიმეტრიული სახე, სპორტული აღნაგობა, უხეში ხმა – ტესტოსტერონის ზემოქმედების გამო. ქალებს შედარებით ნაზი კანი, ღია ფერის თვალები, თხელი თმა, სიმეტრიული სხეული და სავსე მკერდი ექნებათ.



ამის შემდეგ დაიწყება კაცობრიობის დალმასვლა. ათი ათასი წლის შემდეგ ტექნოლოგიების სრულყოფის გამო მეტად სავალალო მდგომარეობაში ჩავვარდებით. ადამიანი დაკარგავს კომუნიკაციებისადმი შესაძლებლობებს, ისინი ერთმანეთის მიმართ გულგრილები გახდებიან. შეიცვლება თავის ქალის ფორმა, შესაძლებელია. საერთოდ გაქრეს ყბები და ნიკაპი, რადგან სპეციალური საკვების შექმნის გამო ადამიანები გადაეჩვევიან ღეჭვას. გაიზრდება საკეისრო კვეთით ბავშვების გაჩენა, რადგან ნაყოფის სიდიდე თითქმის გაორმაგდება.

რაც შეეხება შორეულ მომავალს, 100 ათასი წლის შემდეგ კაცობრიობა ორ ნაწილად გაიყოფა: ტანმაღალთა გენეტიკური ელიტა და გენეტიკური „პლებეები“ სახის ასიმეტრიული ფორმითა და მოკლე კიდურებით.

ტესტი

# სისხლძარღვები წესრიგში გაქვთ?

**ჩვენს ორგანიზმში 100 ათასი კილომეტრი სისხლძარღვი გადის, რომლებშიც სისხლი მიედინება და ჩვენი ორგანიზმის ყველა ორგანოსა და ქსოვილს გამუდმებით აწვდის ძალასა და ენერგიას. სწორედ სისხლძარღვები ასრულებს წამყვან როლს ადამიანის ცხოველმოქმედებაში და ჯანმრთელობის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. შეამოწმეთ, წესრიგში გაქვთ თუ არა სისხლძარღვები.**

***1. თუ გიჩნდებათ სიარულის დროს კანჭის კუნთების ძლიერი ტკივილი?***
***2. 50 წელზე უფროსი ბრძანდებით?***
***3. მამაკაცი ხართ?***
***4. გაწუხებთ დაღლილობა და სიმძიმე ფეხებში სიარულის ან ფეხზე ხანგრძლივად დგომისას?***
***5. დღის ბოლოს ფეხები თუ გისივდებათ?***
***6. ღამე კანჭის კუნთის კრუნჩხვა თუ გაღვიძებთ ხოლმე?***
***7. ზოგჯერ ფეხებში წვას ან ჩხვლეტას თუ გრძნობთ?***
***8. „წითელი ობობას ქსელის“ მსგავსი კაპილარული ბადეები თუ „გიმშვენებენ“ ფეხებს?***
***9. დროდადრო ხელები ან ფეხები თუ გიბუჟდებათ?***
***10. თუ შეგიმჩნევიათ, რომ თქვენი თითები მოთეთრო-მოლურჯო ფერს იღებს?***
***11. დალურჯებული ადგილები უმიზეზოდ თუ გიჩნდებათ ტანზე?***
***12. როცა ნერვიულობთ, თითები გიბუჟდებათ?***



თუ პირველ, **მეორე** და **მესამე** კითხვებზე დადებითად უპასუხეთ, შესაძლოა ქვედა კიდურების არტერიების შიდა კედლების ანთება გქონდეთ. აუცილებლად უნდა ეჩვენოთ ანგიოქირურგს.

თუ **მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე** და **მერვე** კითხვებს უპასუხეთ დადებითად, ეს იმას ნიშნავს, რომ ვენების ვარიკოზული გაგანიერება გაქვთ, ვენები ტონუსს კარგავს და სითხე მალე კედლებიდან ჟონვას იწყებს. აუცილებლად გჭირდებათ ექიმ-ფლებოლოგის კონსულტაცია.

დადებითი პასუხი **მეცხრე** და **მეათე** კითხვებზე იმაზე მეტყველებს, რომ რეინოს სინდრომი გაქვთ. თუ **მეთერთმეტე** კითხვას უპასუხეთ დადებითად, იცოდეთ, რომ თრომბოციტების ნაკლებობა გქონიათ, რის გამოც სისხლძარღვების კედლები მეტისმეტად დიდი შეღწევადობით ხასიათდება.

დადებითი პასუხი **მეთორმეტე** კითხვაზე იმის ნიშანია, რომ წვრილი სისხლძარღვების სპაზმები მეტისმეტად მგრძნობიარე ნერვული სისტემის გამო გიჩნდებათ. გირჩევთ ხელები (ან ფეხები) რაღაც დროით თბილი წყლის ნაკადს შეუშვიროთ, ეს უსიამოვნო შეგრძნებისგან გაგათავისუფლებთ.

თებრო ბებოს რჩევები

# როგორ დავიცვათ ღვიძლი

**ოქტომბერში ცირცელი მწიფს. მისი წითელი ნაყოფი მარტო საოცრად ლამაზი კი არა, არამედ ძალიან სასარგებლოცაა. ცირცელს ძველი დროიდან მოყოლებული იყენებენ ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის სამკურნალოდ.**

ღვიძლსა და სადინარებში კენჭების საწინააღმდეგოდ კარგია ყოველდღე 1,5 თვის განმავლობაში 2-2 ჭიქა ცირცელის ნაყოფის ჭამა და შაქრიანი ან თაფლიანი ჩაის დაყოლება.

შეგიძლიათ ცირცელის ნაყენიც მოამზადოთ: 30 გრ. ნაყოფს დაასხით 3 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ და მიღებული ნაყენი სვით თითო ჭიქა დღეში სამჯერ.

სამკურნალო ზემოქმედებას ახდენს ღვიძლზე ცირცელისა და ჩვეულებრივი ჟოლოს ასეთი ნაზავი: 60 გრ. ცირცელისა და 40 გრ. ჟოლოს ნაზავს დაასხით 1ლ. წყალი და დღის განმავლობაში პატარ-პატარა ულუფებით სვით.

ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადების სამკურნალოდ კარგია აგრეთვე გოგრის წვენიც (თითო ჭიქა დღეში სამჯერ), შეგიძლიათ წვენის ნაცვლად დილა-საღამოს გოგრის ფაფა მიირთვათ.

3 სუფრის კოვზი წითელი მოცვის წვენი გაურიეთ 5 ჭიქა წყალში და ჭამამდე 3 წუთით ადრე სვით დღეში 2-3 ჯერ.

500 გრ. პირშუშხა გახეხეთ, მიღებულ ფაფას დაასხით 1ლ. მდუღარე წყალი, მჭიდროდ დაახურეთ თავი, გააჩერეთ 24 საათი, ნაყენი სხვა ჭურჭელში გადაასხით, გაწურეთ და დღეში სამჯერ მიიღეთ 50მლ. ჭამამდე.



**სააქციო საზოგადოება „ვაზიანის“ აქციონერთა საყურადღებოდ**

**გაცნობებთ, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53 3 მუხლის შესაბამისად, დაწყებულია სს „ვაზიანის“ (ადგილმდებარეობა: გარდაბნის რ-ნი, სოფ. ვაზიანი) აქციების სავალდებულო მიყიდვის პროცესი.**

აქციების სავალდებულო მიყიდვის სააღრიცხვო თარიღია 2006 წლის 6 ნოემბერი.

აქციონერების მიერ აქციათა სავალდებულო მიყიდვა განხორციელდება აქციების შეფასების ანგარიშის თანახმად დადგენილ სამართლიან ფასად, რომელიც შეადგენს 0,5 (ორმოცდაათ თეთრი) ლარს.

აქციების შეფასების ანგარიშის გასაცნობად მიმართეთ სს „ვაზიანის“ რეესტრის მწარმოებელ იურიდიულ პირს – შპს „რეგისტრს“ (მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი, 74 ა, III სართული, ტელეფონი 23-01-09.

**განმცხადებელი სს „ვაზიანის“ ადმინისტრაცია**

## ◉ წიგნი-ძეგლი მეგობარს

# შენ ჩვენთვის როგორ არა ხარ!..




**ოქტომბერი თემო მეტრეველის თვეა... წელს იგი უკვე სამოცდაერთისა გახდებოდა...**

**გამორჩეული მამულიშვილი და პროფესიონალი...**

**ჭეშმარიტი ილიელი.**

**ჩვენი დაუვიწყარი მეგობარი და კოლეგა...**

ადგა ჯემალ გორდულაძე – თეიმურაზის თანაკურსელი, შესანიშნავი ჟურნალისტი, გულიანი კაცი და სანამ ჩვენ თემოს ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასვლას და ბედის უკულმართობას მივწუწუნებდით, შეიძლება ითქვას, ძეგლი დაუდგა თავის უახლოეს მეგობარს. აგროვა მასალები, დაწყებული ხაშურიდან – თეიმურაზ მეტრეველის დაბადების ადგილიდან – ვიდრე დღემდე, იმ ადამიანებამდე, ვინც ფასი იცოდა თემურისა, ვინც მის ნიჭსა და უნარს, მის მოღვაწეობას განსაკუთრებულად აფასებდა, ერთ წიგნში მოაქცია, და სხვათა შორის, დასათაურებაც ზუსტი მოუძებნია – **„Metr-ეველი საინტერესო ვინმე“** და აი, ეს წიგნი-ძეგლი დაბადების დღისთვის მოგვაწოდა თემურის ახლობლებსა და ნაცნობ-მეგობრებს.

მადლობა ძმაო, ჯემალ, ამ გარჯისთვის, ამ ცხელი გულისთვის, მეგობრის არდავიწყებისთვის!

მეტრეველი, მართლაც საინტერესო ვინმე იყო, მართლაც მეტრი იყო, საზომი იყო დღევანდელი ჩვენი ჟურნალისტიკისა და მე ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ რამდენიმე წელიწადი ამ არაჩვეულებრივი პიროვნების გვერდით გავატარე. შეხვდით გაზეთ „კომუნისტში“ (თუმცა, ვიცნობდი, როგორც ნიჭიერ „ახკომელს“ძ, ერთად გავიხარეთ, როდესაც ბატონმა ნუგზარ ფოფხაძემ – ჩვენმა რედაქტორმა – გამოგვარჩია, დაგვაფასა და ერთად დაგვიმატა ხელფასზე 50-50 მანეთი (ის მაშინ ადვილი არ იყოძ. მოგვიანებით კი, საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე ერთად ვამზადებდით გაზეთ „კაბადონ-8“-ს და ერთად გვიხაროდა მისი ყოველი ნომრის გამოსვლა...

...ვინ იფიქრებდა მის ასე ნაადრევად წასვლას...

თუმცა, „თემურ-დამაარსებელმა“ მოასწრო და თავისი სამაგალითო ჟურნალისტური მიღწევების დასტურად დატოვა გაზეთები: „კაბადონი-8“, „ქართული კულტურა“, „დილის გაზეთი“, „მოქალაქე“, „ახალი ეპოქა“... სამწუხაროდ, არც ერთი ეს გაზეთი დღეს აღარ გამოდის, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს პრესის მეისტორიეს, შეუძლებელია, გვერდი აუქციოს მათ მნიშვნელობას.

ჯემალ გორდულაძის ამ წიგნმა კიდევ ერთხელ გამახსენა, ძმაო თემურ, ჩვენი ძვირფასი ზაურ ბოლქვაძის სტრიქონები – მეგობრის საფლავზე თქმული:

**„გადაუარა ბალახმა**
**საფლავს, სიცოცხლის**
**წერტილს,**
**შენ ჩვენთვის როგორ არა ხარ,**
**ჩვენ აღარა ვართ შენთვის!“**

ჯვარი გეწეროს, შენ ჩვენთვის ყოველთვის იქნები, სანამ შენი თაობა, შენი ნაცნობ-მეგობარი კიდევ დაფოფხიალობს ამ ბედკრულ ქვეყანაში... მერე კი... მერე შენი ნაღვაწი გააგრძელებს არსებობას, თუკი ქართულ ჟურნალისტიკას არსებობა უწერია.

**ვილენ მარდალეიშვილი**



**სურათზე: ჯემალ გორდულაძის წიგნის გარეკანი; ძველ მეგობართან სათქმელს რა დაულევდა... თემურ მეტრეველი, ვილენ მარდალეიშვილი.**

## ◉ ინფორმაცია

### ქრთამი ჯარში გაწვევის სანაცვლოდ

**ფინანსურმა პოლიციამ ისანი-სამგორის რაიონის გაწვევის კომისიის თანამშრომელი დიმიტრი ონიანი დააკავა.**

ონიანს ერთ-ერთი წვევამდელისთვის სამხედრო-სავალდებულო სამსახურის ექვსი თვით გადავადების სანაცვლოდ ქრთამის აღებაში ედება ბრალი.

გამწვევ კომისიაში აცხადებენ, რომ კანონი სამხედრო სავალდებულო სამსახურის ექვსი თვით გადავადებას არ ითვალისწინებს. ჯარში გაწვევის გადავადება მხოლოდ 13 თვით, იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ წვევამდელი კანონით დადგენილ საფასურს – 2000 ლარს გადაიხდის.

ონიანს ბრალი უკვე წაუყენეს. წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ კი სასამართლო იმსჯელებს.

### „ახალი მემარჯვენეების“ ოფისი გაქურდეს

**„ახალი მემარჯვენეების“ ბათუმის ორგანიზაციის ოფისი გაიქურდა. ამის შესახებ ინტერპრესნიუსს მემარჯვენეების პრესცენტრში განუცხადეს.**

პრესცენტრის ცნობით, წაღებულია პარტიული დოკუმენტაცია, ასევე ტელევიზორი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები.

ოფისი სავარაუდოდ, გუშინ, გვიან ღამით გაიქურდა.

**ინტერპრესნიუსი**

## ხსოვნა

# ოთარ ჩარკვიანი



ქართულმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ, საქართველოს მშენებელთა მრავალათასიანმა კოლექტივმა უდიდესი დანაკლისი განიცადა. 81 წლის ასაკში გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მშენებელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, მრავალი საპატიო ჯილდოსა და წოდებების, დამოუკიდებელი საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს ყოფილი სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, აჭარაში მშენებლობის ფლაგმანის ბათუმის №10 ტრესტის მმართველი **ოთარ ჩარკვიანი.**

ბატონი ოთარი იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელთა მოწოდება იყო ყოველთვის მიმდინარე მოვლენების შუაგულში ყოფნა. მის მიერ განვლილი გზა სანიმუშო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ადამიანი საკუთარ ხალხს და სამშობლოს.

ბატონი ოთარი დაიბადა 1925 წელს ქ. ბათუმში, აჭარაში ცნობილი დასტაქარის ბატონ იოსებ ჩარკვიანის ოჯახში. აქვე მიიღო მან საშუალო განათლება და სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მან როგორც ინჟინერმა მშენებელმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დაუკავშირა საქართველოში მიმდინარე შენების დიდ და სახელოვან საქმეს.

1948-56 წლებში ბატონი ოთარი, როგორც რიგითი ინჟინერი, მუშაობდა აჭარაში მშენებარე ობიექტებზე.

1956-69 წლებში იგი ტრესტის „საქკოოპმშენის“ სამშენებლო სამმართველოს უფროსია.

1969 წლიდან მას აწინაურებენ ახლად შექმნილ სასოფლო მშენებლობის ქ. ბათუმის №10 ტრესტის მმართველად, სადაც მან ბოლომდე უცვლელად იმოღვაწევა.

ბატონი ოთარის უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით აშენდა და ექსპლუატაციაში იქნა შეყვანილი:

– უნიკალური ციტრუსების გადამამუშავებელი საწარმო ხელვაჩაურში;

– ჩაის ფაბრიკა ქობულეთში;

– მრავალსართულიანი დასასვენებელი კომპლექსი ქობულეთში და მრავალი სხვა სამრეწველო, სამოქალაქო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტები.

დიდია ბატონი ოთარის დამსახურება მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის საკითხში, რისთვისაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით ქ. ბათუმში აშენდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უმსხვილესი რკინა-ბეტონის, ლითონის კონსტრუქციების და ხის კონსტრუქციების დამამზადებელი საწარმოო კომბინატი.

განსაკუთრებით დასაფასებელია მისი ღვაწლი ავტონომიურ რესპუბლიკაში მშენებელთა ახალგაზრდა კადრების მომზადებასა და მშენებლობის ხარისხის ამაღლების საკითხებში.

საქმისადმი ერთგულებით, თავმდაბლობით და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით გამორჩეულს, მას დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული არა მარტო მის მშობლიურ კოლექტივში, არამედ მრავალათასიან ქართველ მშენებელთა შორის.

თავის პროფესიულ სამუშაოსთან ერთად, ბატონი ოთარი ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი იყო ქ. ბათუმის საქალაქო საბჭოს არაერთგზის მოწვევის დეპუტატი.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი და ვალმოხდილი ადამიანი, ერთგული მეგობარი, დიდი ოჯახის მამა, სათაყვანებელი ბაბუა და თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი.

დაე, მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ქართული მიწა.

**მეგობრები და კოლეგები**

# მიხეილ გეგენავა



გარდაიცვალა საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი **მიხეილ აქვსენტის ძე გეგენავა.** მან ცხოვრების რთული, ბევრისმომცველი, საზოგადოებრივი თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი, ღირსეული გზა განვლო.

მიხეილ გეგენავა დაიბადა 1917 წლის 25 ნოემბერს სენაკის რაიონის სოფ. გეჯეთში. იქვე მიიღო პირველდაწყებითი და შვიდწლიანი სკოლის განათლება. 1935 წელს დაამთავრა სენაკის პედაგოგიური ტექნიკუმი, მოხვდა ამ გამოშვების საუკეთესო ხუთ პროცენტში, რის გამოც სავალდებულო მუშაობის გარეშე ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. ამ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს (აკად. ვ. თოფურიას რეკომენდაციითძ ახალგახსნილ აკ. წერეთლის სახელობის ორწლიან სამასწავლებლო ინსტიტუტის ქართული ენის კათედრაზე, ამის პარალელურად მუშაობდა ქ. ზუგდიდის I საცდელ-სანიმუშო საშუალო სკოლაში მასწავლებლად. 1940-45 წლებში სსრკ შეიარაღებული ძალების რიგებშია. ამის შემდეგ ჯერ სოხუმში პარტიულ სამუშაოზეა, შემდეგ ზუგდიდს უბრუნდება და ზემოთ აღნიშნული ინსტიტუტის ქართული ენის კათედრაზე იმუშავა ჯერ ასპირანტად, შემდეგ უფროს მასწავლებლად, თან 1960 წლამდე იყო ენგურქაღალდკომბინატის საშუალო სკოლის დირექტორი. ერთხანს მუშაობდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის რეფერენტად, ხოლო 1962 წ. გადავიდა საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესი სკოლების სამმართველოს ინსპექტურაში უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე, აქვე ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთან არსებული მოსამზადებელი განყოფილების მუშაობას. ის, როგორც ამ სამინისტროსთან არსებული მეთოდიკური საბჭოს ხელმძღვანელი, ძალიან ბევრს აკეთებდა რესპუბლიკის უმაღლეს სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ხარისხის ასამაღლებლად. ერთხანს იმუშავა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრაზე. ის წლების მანძილზე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა პედაგოგიკის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილ სტატიებს, ნარკვევებს.

მიხეილ გეგენავა იყო ჩინებული მეუღლე, მამა (ოთხი დაოჯახებული ქალიშვილი ჰყავსძ, ბაბუა, ახლობლებს, თანამშრომლებს, ნაცნობებს ყოველთვის მხარში ედგა ჭირსა თუ ლხინში. სიცოცხლის ბოლომდე გატაცებით ადევნებდა თვალყურს ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების, პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარე პროცესებს.

ჩვენს შორის დიდხანს დარჩება მიხეილ გეგენავას – ღირსეული ადამიანის, ქვეყნის წინაშე ღირსეულად ვალმოხდილი პიროვნების ნათელი ხსოვნა.

**მეგობრების ჯგუფი**

## ◉ ინფორმაცია

### ხეებს კვლავ უკანონოდ ჭრიან

**გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთის ბიუროს თანამშრომლებმა გუშინ ხარაგაულის რაიონში უკანონოდ მოჭრილ 50 ძირ წაბლის ხეს მიაკვლიეს. მიყენებული ზარალი 5 ათასი ლარით განისაზღვრა.**

ბიუროს თანამშრომლებმა ბაღდათის რაიონის სოფელ როხის სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე 20 კუბური მეტრი წიფლის წითელი ხის მორები აღმოაჩინეს.

ორივე ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

**ინტერპრესნიუსი**

### ◉ სარწმუნოება

# ღირსი იოსებ ხუცესი, საკვირველმოქმედი



**20 ოქტომბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია ღირს იოსებ ხუცესს იხსენიებს. მის შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. იოსები მოხევე იყო და იქვე მსახურობდა მღვდლად. მოხევეები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სარწმუნოებრივი შემართებით, „კაცნი მბრძოლნი, ძლიერნი, ახოვანნი, ჰაგროვანნი“.**

... ხევის მშვენება და სიამაყეა მყინვარი, რომლის კალთაზეც სამების მონასტერია აშენებული. ერთ დროს იქ წმიდა ნინოს ჯვარი ესვენა, რომელიც ამჟამად სიონის ტაძარში, კანკელის მარცხნივ არის დაბრძანებული.

მყინვარზე, ყინულებში, კაცთაგან მიუვალ ადგილას გამოქვაბულია, რომელსაც ბეთლემს უწოდებენ. შიგ შესვლა მხოლოდ ზევიდან ჩამოშვებული ჯაჭვით შეიძლება. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, გამოქვაბულში უამრავი საკვირველება ინახებოდა: **„იტყჳან უფლისა აკვანსა მუნ და აბრაამის კარავსა მდგომსა უსუეტოდ, უსაბლოდ და სხვათა საკვირველთა“.** დავით ბატონიშვილის ცნობით, იოსებ მოხევე **„იყო ფრიად სიწმიდის მოყვარე და მემარხულე, რომელ ყველგან განითქვა სათნოება ამისი. ესე ნებითა ღმრთისაითა აღვიდა მყინვარსა მთასა შინა კაცთაგან შეუვალსა, და იხილა მუნ კარავი და აკვანი აბრაამ მამამთავრისა, რომელ ჯერეთცა არავინ აღსრულ არს მთასა მას და მოართო მეფეს ირაკლის ნაჭერი კარვისა მის. და ესეცა მიიწია საზომსა სასწაულთმოქმედებისასა და ესრეთ უფლისად დაიძინა“.**

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

### ◉ ინფორმაცია

# სუბარი გულგრილობაში ადანაშაულებს

**საქართველოს სახალხო დამცველს თბილისის მე-5 სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ორმოცმა მსჯავრდებულმა ქალმა მიმართა.**



ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ 2006 წლის მარტიდან შეწყვეტილია პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცედურა.

სახალხო დამცველის სოზარ სუბარის განცხადებით, მსჯავრდებული ქალების მოთხოვნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ სამართლიანია.

სუბარისთვის გაუგებარია, რატომ არ ასრულებს თავის ფუნქციებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის კომისია, კერძოდ, რატომ არ განიხილავს ორმოცი ქალბატონის საქმეს, რათა მათი საქმეები შემდგომში სასამართლოს გადაეგზავნოს.

მისივე განცხადებით, მძიმე ყოფასთან ერთად, მსჯავრდებულებისთვის დაუსრულებელი მოლოდინიც აუტანელია, რაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის კომისიის ინდიფერენტულობითაა გამოწვეული.

სოზარ სუბარი მსჯავრდებულ ქალებს რამდენიმე დღის წინათ შეხვდა. მისი ინფორმაციით, დაწესებულება, სადაც ქალები სასჯელს იხდიან, გარემონტებული და კეთილმოწყობილია, თუმცა 220 პატიმარზე გათვლილ საპყრობილეში სასჯელს 350-მდე მსჯავრდებული იხდის.

**ინტერპრესნიუსი**

### ◉ ანეკდოტები

— დედი, დღეს ორი ბუზი მოვკალი, თანაც დედალი და მამალი, — მიახარა მიხომ მაროს.

— რა იცი, რომ დედალი და მამალი იყვნენ?

— ერთი სარკეზე იჯდა, მეორე — ლუდის ბოთლზე.

* * *

ახალგედა კაპიტანი ემზადება ოკეანეში პირველად გასასვლელად და თავის ბაბუას, შორეული ნაოსნობის ძველ კაპიტანს, ეკითხება, რა აუცილებელი ნივთები წაიღოს თან.



— მთავარი, რაც ზღვაში გამოგადგება, ეს არის ღებინების საწინააღმდეგო აბები და პრეზერვატივებიც — შენ ხომ ნავსადგურებში მოგიწევს შესვლა.

წავიდა კაპიტანი აფთიაქში და იყიდა 10 აბი და 10 პრეზერვატივი. მეორე დღეს ბაბუას მოახსენა, რა იყიდა. ცოტა გიყიდიაო, უთხრა ბაბუამ. კვლავ წავიდა კაპიტანი აფთიაქში და იგივე ოდენობის აბი და პრეზერვატივი ისევ იყიდა. არც ეს კმარა, ერთი ამდენიც დაგჭირდებაო.

როდესაც ახალგაზრდა კაპიტანი მესამედაც მივიდა აფთიაქში, აფთიაქარმა მორიდებით უთხრა:

— ეს, რა თქმა უნდა, ჩემი საქმე არ არის, მაგრამ თუ იმ ქალის ყოველ დანახვაზე გული გერევათ, ლოგინში რად იწვენთ?

* * *

— საყვარელო, რამდენჯერ უნდა აგიხსნა, რომ ჩემი ორგანაიზერის „ბ“ განყოფილებაში შეტანილი ქალთა სახელები და ტელეფონის ნომრები სულაც არ ნიშნავს იმას, რაც შენ გგონია, — ეუბნება ბიზნესმენი ექვიან ცოლს.

— აბა რას ნიშნავს?

— რას და, ბანკირს, ბუღალტერს, ბროკერს...

* * *

— იცი, გუშინ ჩემ ყოფილ ქმარს შევხდი, — ეუბნება ქალი დაქალს.

— მერე?

— სიმართლე გითხრა, არ ვიცოდი, თუ ასეთი კარგი მოსაუბრე იყო.

### ◉ კახეთის მხარე

# დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაც განახლდა

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლას კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა.**

დედოფლისწყაროელებისთვის ამ მნიშვნელოვან დღეს სკოლის შენობის კარები გახსნეს რაიონის გამგებელმა გელა იაკობიშვილმა და კახეთის მხარეში გუბერნატორის მოადგილემ სოციალურ-ინფრასტრუქტურის დარგში ნოდარ ლათიბაშვილმა. მათ დაათვალიერეს სკოლის უნიკალური, განახლებული შენობა, კლას-კაბინეტები სპორტული და სააქციო დარბაზები.

განახლებულ სკოლაში 645 მოსწავლე შეუდგა მეცადინეობას, პირველკლასელებს საზეიმოდ გადასცეს პრეზიდენტის საჩუქრები — ჩანთები და სახელმძღვანელოები.

**ნანა ჭიჭინაძე**

### ◉ ლარის კურსი

**19 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2297 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7405 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1833 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0646 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9901 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,44545 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4623 ლარი. |

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32; 899 328576

### ◉ დარია თუ ავდარია




**დასავლეთ საქართველოში** — მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +11⁰ – +17⁰, ღამით +10⁰ – +14⁰.

**აღმოსავლეთ საქართველოში** — მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +12⁰ – +18⁰, ღამით +10⁰ – +15⁰.

**თბილისში** — მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით +12⁰, დღისით +18⁰.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ „უწყებანის“ დირექტორს ავთანდილ კერვალიშვილს მამის

აბელ თომას ძე კერვალიშვილის

გარდაცვალების გამო.

---



შვილები ალექსანდრე, გულნაზი, მელსი, რძალი მაია ქათამაძე, სიძე რამაზ ჭელიშვილი, შვილიშვილები შოთა, გიორგი ფანჯაკიძეები, დავით, მარიამ სილაგაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიდა თომას ასული სტვილია

პანაშვიდი 18, 19 X, 16 სთ. სანზონა, გურამიშვილის ქ. 56. დაკრძალვა მარტვილის რაიონი, სოფ. ნაგვაზაო. 22 X, 15 სთ.

---

გურამ, ლეილა, ნუგზარ, თამაზ, ლალი, სოსო, ნანა, მამუკა სულავები იუწყებიან ოჯახის უახლოესი მეგობრის, შესანიშნავი პედაგოგის

ლიდა სტვილიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნუგზარ ფოფხაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, არმაზ სანებლიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ მერი, თეიმურაზ და ლევან ჩარკვიანებს მეუღლის, მამისა და ძმის

ოთარ ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო.

---

ეთერ, დათო გაბუნიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მამიდაშვილის

ოთარ ჩარკვიანის

გარდაცვალებას.

---

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ თანაგრძნობას უცხადებს თემურ ჩარკვიანს მამის

ოთარ ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო.

---

ონკოლოგიური ცენტრის გინეკოლოგიური კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან

ოთარ ჩარკვიანის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

---

არჩილ ბახტაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ოთარ ჩარკვიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ლამარა იოსელიანი, შალვა, ედიდ ბრეუსები იუწყებიან

ოთარ ჩარკვიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
მამუკა ვაშაკიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აიწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.